სახალხო გაზეთი

№ 1020 პარასკევი, 18 ოქტომბერი 1913 წ. № 1020

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კოვკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადებნი დანაბეჭდ. პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კოვკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიახნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. სადამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებანი—7 კ.

ეროვნული-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი ოქტომბრიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 2 მ. 25 კ.

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети" Почт. ящ. 190.

ანასტასია მიხეილის ასული ფითოევისა შვილებით იუწყებიან, რომ ძვირფასის ქმრისა და მამის

კონსტანტინე იაგორის ძის

ფითოევის

დაკრძალვა მოხდება შაბათს, 19 ოქტომბერს. წირვის დასაწყისი დილის 11 საათზე, წესის აგება შუადღის 12 საათზე მოღონინის ეკლესიაში. დაკრძალვა—ხოჯივანქის სასაფლაოზე, საგვარეულო აკლდამაში.

გიორგი კონსტანტინეს ძე ფითოევი შვილებითურთ იუწყებიან, რომ ძვირფასი მამისა და პაპის

კონსტანტინე იაგორის ძის

ფითოევის

დაკრძალვა მოხდება შაბათს, 19 ოქტომბერს. წირვის დასაწყისი დილის 11 საათზე, წესის აგება—12 საათზე, დაკრძალვა—ხოჯივანქის სასაფლაოზე, საგვარეულო აკლდამაში.

გიორგი მიხეილის ძე არარატსკი გულითადის მწუხარებით იუწყებიან, რომ ძვირფასი მამა

კონსტანტინე იაგორის ძის

ფითოევის

გარდაცვალებას. წირვა და წესის აგება მოხდება შაბათს, 19 ოქტომბერს, შუადღის 12 საათზე, მოღონინის ეკლესიაში. დაკრძალვა ხოჯივანქის სასაფლაოზე, საგვარეულო აკლდამაში.

ნავთის სამრეწველო და სავაჭრო საზოგადოების „ი. ე. ფითოევი და ამხ." გამგეობა იუწყება, რომ გამგეობის განსვენებული თავმჯდომარის

კონსტანტინე იაგორის მის

ფითოევის

დაკრძალვა მოხდება შაბათს, 19 ოქტომბერს. წირვა დაიწყება დილის 11 საათზე, წესის აგება—12 საათზე, მოღონინის ეკლესიაში. დაკრძალვა—ხოჯივანქის სასაფლაოზე, საგვარეულო აკლდამაში.

ნავთის სამრეწველო და სავაჭრო საზოგადოება „ი. ე. ფითოევი და ამხ." გამგეობა იუწყება, რომ შაბათს, 19 ოქტომბერს, გამგეობის განსვენებულ თავმჯდომარის

კონსტანტინე იაგორის ძის

ფითოევის

დაკრძალვის დღეს, გამგეობის კანტორა **დახურული იქნება.**

სავაჭრო სახლი „გიორგი ფითოევი" იუწყება, რომ შაბათს, 19 ოქტომბერს

კონსტანტინე იაგორის ძის

ფითოევის

დაკრძალვის დღეს, ტფილისის განყოფილების კანტორა და საწყობი **დახურული იქნება.**

ქ-ნი პორტუგალოვისა

აცხადებს, რომ

საფანჯრიკო მაღაზიაში, რომელიც ნიკოლოზის ხიდთან № 23—24 არის, ზაჟიარის სეზონის ჩოხლოვანებისა გამო დანიშნულია

დიდი ვაჭრობა

მამაკაცთა, ქალებისა და ბავშვების ტანისამოსისა.

30 პროც. დააკლდება ფაბრიკის ფასს.

ვიმედოვნებ, ვინც ჩვენს მაღაზიაში იყიდის, კმაყოფილი დარჩება. ამასთანავე მოგახს ენებთ, რომ **მაღაზიას ყოველ კვირა მოხდის ახალ-ახალი ნაქონელი, რომელიც ძვირად არ იყიდება.**

1491 პატივისცემით **ქ-ნი პორტუგალოვისა.**

ქუთაისის ქალაქის თეატრი

კვირას, 20 ოქტომბერს გაიმართება

პირველი ქართული სიმფონიური

კონცერტი

პ. ფოცხვერაშვილისა

შემდეგის პროგრამით: 1. „ქართული მუსიკა და მ. ხი პარმონია — კანტრაპუნქტი, წაიკითხავს **კ. ფოცხვერაშვილი.** 2. ა) პირველი რაფსოდია კ. ფოცხვერ. შვილისა, ბ) ნუმრები მ. ბალანჩივაძის ოპერა „თამარ ცბიერი"-დან, გ) „თქმულება ამირანზე" სიმფონიური ესკიზი (სიუიტა) კ ფოცხვერაშვილისა, დ) ქართული ეროვნული სიმღერები შემუშავებული ხოროსა და ორკესტრისათვის კ. ფოცხვერაშვილის მიერ. ე) ქართული მარში და სიმფონიური ნომრები მ. იპოლიტოვ-ივანოვის ოპერა „დალტიდან". 3. სხვა და სხვა ნომრები კ. ფოცხვერაშვილის ოპერა „კერპთა დამხობიდან". ა) ქურუმთა და ქურუმ ქალთა საღვთო როკვა, ბ) ფინალი (პეკა-ქუთაისის სცენა), გ) არია (ლოცვა) ქურუმ ქალისა დ) „ციდება არშაზსა" (ჰიმნა), ე) ქართული ერო. ნული სიმღერები კ. ფოცხვერაშვილისა. მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნი ნ. ა. ვასელ ოვზოროვისა (ხოპრანო) (შესრულებს ხოროსთან ერთად ქურუმ ქალის არიას), ტფილისის „ახალი კლუბის" სიმფონიური ორკესტრი, ქუთაისის ქართველ მომღერალთა საზოგადოების ქალ-ვაჟთა ჯუნდი და სხვანი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე ბილეთები იყიდება ბ-ნ თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში. ლოტბარი **კ. ფოცხვერაშვილი.** 1536

ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების

გამგეობა

სთხოვს საზოგადოების წევრთ, კეთილ ინებონ და მობრძანდნენ კანცელარიაში და **მიიღონ დაბეჭდილი ანგარიში 1912 წლისა.** 1539

კ. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლი

ორშაბათს, 21 ოქტომ., 1913 წ. ქართ. სახ. წარმ. მმართ. წრის მიერ, წრის ნივთიერ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მსახიობთ **ქ. ნინო ჩხეიძის ასულის და ბ. ალ. იმედაშვილის მონაწილეობით** წარმოდგენილი იქნება პირველად დრამა

ბაიფუნი

4 მოქმ. მ. ლენგიელისა, თარგ. ალ. ანდრონიკაშვილისა.

მონაწილეობს წრის ყველა სენის მოყვარე.

დასაწყისი სად. 8 ს. ✦ ადგილების ფასი 2 მ.—20 კ.

რეჟისორი **ალ. წულუკიძე.** თანაშეწე **ნ. ჯანკვატაძე.** წრის ადმინისტრაცია.

ფარდ. აწევის შემდეგ თეატ. დარბაზში შესვლა აკრძალულია. 1486

პირველ-ხარისხოვანი

დიდი ცირკი

ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთან, ნ. კუნდუროვის ადგილზე, საკუთარი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისა მეშვეობა.

დღეს, 18 ოქტომბერს, 1913 წ. გაიმართება

დიდი წარმოდგენა

დღეს დაიწყება გამოჩენილ ფალავანთა ფრანგული, კავკასიური და თავისუფალი ამერიკული **ჭიდობა.** ეს ჭიდობა მოწყობილია პეტერბურგის „ვეტერნიკ სპორტის" რედაქციისაგან და მოხდება თვით რედაქტორის **ნ. ი. პეტროვის** ხელმძღვანელობით. ჭიდობაში მონაწილეობას იღებენ გამოჩენილი ფალავნები: **ჩემპრს ციპს** (ამერიკელი ზანგი)—**კოსტა მაისურაძე,** კავკასიური ფალავანი. **ლუკა კოპიევი,** — **ეან ხაბატიეს,** (ევროპის და საფრანგეთის ფალავანი) **ივ. კაინი,** ყველაზე უფლონიერესი და ცნობილი ამ დროის მოჭიდავე ოდესმაც არა ერთხელ აჯობა ჭიდობაში. ბოდდუნის, ვანტუროვს და სხვას. დღეს ჭიდობენ: **ჩარლზ ივანოვი, ხაბატიე** და **ვეიმანი** და სხ. ხალხის სურვილისამებრ მონაწილეობას იღებს **ჩესტერ დიკი** და სხვა არტისტები. ჩესტერ დიკი მე 2 განყოფილებაში, 9 ს.-ზე, ჭიდობა 9 ნახ. ს.

719 **დასაწყ. ხალამ. 8 საათზე.** დირექცია **ძმ. ესიკოვსკებისა.**

მოითხოვეთ ყველგან

ყოველკვირეული ჟურნალი

წლიურად 3 მან. **ფასი 5 კაპ.**

ტფილისის კერძო სამკურნალო

ესენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სახტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილებ.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. ვ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მაღალაშვილი ბ. ბ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.
	ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა. ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს.
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკოვიჩი ვ. ლ.** კონსულტატი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. ვ.** ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულებ.	**ექ.-ქალ. ბაძრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1. **ფიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. **ფედოროვი ბ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ერვიულ. სნეულებ. და ელექ.	**ჯავახიშვილი ნ. ნ.** საშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1. **ფოლოდოვი ბ ს.** ყოველ დღე 1—2.
ელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. **ოლიმბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**ფუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროსკოპიო და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათა ბანგ. **Wasserman.** რეაქციისათვის 50 კ. საწოლ. ადგილი 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე ფოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606" და „914" **წამლის შეშხაპუნება,** ელექტროენით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძი-ძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. **ფ.** 1466

„ახალი კლუბის" მამასახლისთა საბჭო

ამით აუწყებს კლუბის წევრთ, რომ

ორშაბათს, 21 ოქტომბერს, დანიშნულია კლუბის წევრთა

საგანგებო საზოგადო კრება,

რომელზედაც განსახილველად დანიშნულია შემდეგი საქმეები: 1) მოხსენება შენობის შესაკეთებლად საჭირო მცირე თანხის გადადების შესახებ და 2) მიმდინარე საქმეები. დასაწყისი დღისით 12 საათზე. 1499

ტფილისი

კომისია ტფილისის ქართველ ქალთა

საზოგადოებისა

ამით აუწყებს ტფილისის ქართველ ქალებს, რომ ორშაბათს, 21 ოქტომბერს, დანიშნულია დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში (ბელინსკ. ს ქ., 2) ტფ. ქართ. ქალთა საზოგადოების

საზოგადო კრება.

განსახილველია შემდეგი საქმეები: 1) მოხსენება კომ-სიის მოქმედების შესახებ, 2) მიღება ახალი წევრებისა და 3) არჩევა საბჭოსი და სარევიზიო კომისიის წევრებისა. დასაწყისი საღამოს 7 საათზე. 1542

სასაზიოთეკა

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

წიგნები: ისტორიისა, საეკლესიო და საისტორიო მასალები:

ბაქრაძე ი. ა. ისტორია	35 კ.	— ქართვ. კათოლ. ყველა ასპარეზზე	25 „
ბუონია. ისტორიული ნარკვევი	1—50 „	— ქართული სტამბა	10 „
ბოჭინაძე ზ. ისტორია ქართ. ჟურნ.-გაზეთებისა	15 „	— საქართველოს ცხოვრება	1 მ.—
— კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში	50 „	— მუსულმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში	60 „
— „ „ ბათომში	10 „	— ისტორია ოსმალეთის ყოფილი საქართველოსი	50 „
— კათოლიკეთა ეპისკოპოსის მობრძანება საქართველოში	10 „	**ახალი წიგნები:**	
— მესხეთ-ჯავახეთის გათათრება	10 „	ერის სულის ბეჭედ. ლეგენდა, რუხაძე.	5 „
— სოლომონ ლეონიძე	10 „	ბაირონიზმი და ჩხოფლიო მწუხარება	25 „
— ქართ. კათოლიკეთა სასულ. მოღვაწენი და მესხეთ-ჯავახეთის ცხობა	25 „	ყოველის მხრიდან, ლომაურისა	10 „
— ქართ. კათოლიკეთა ვაჭრობა,	30 „	გენეალოგია დიდი ალექსანდრე მეფისა	30 „
		საქართველოს გმირი გიორგი სააკაძე	80 „
		Списокъ пьесъ на груз. языкѣ разрѣшенныхъ къ представленію	40 „

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ [illegible] 1913

ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

ემილ ზოლას

„მაღაროებში მომუშავენი"

(ჟვა-ნახშირის მთხრელები)

ივ. გ. ავალიშვილის ნათარგმნი.

წიგნის ფასი 85 კაპ. 1519

ბრიუსელის გამოფენაზე 1901 წ. GRAND PRIX.

ოქროს მედალი ოსტენდის გამოფენაზე 1910 წ.

ოპალიერის (ОБОИ) ქარხანა

ძმ. ტარნოპოლებისა.

განყოფილება იმყოფება გოლ. პროსპ., № 21, ტელ. № 355.

მიღებული გვაქვს ძვირფასი საჩუქრები.

იყიდება რუხეთის ყველა ქალაქებში. ფასი ყველა (სრული ზომის 11¼ არშინი) ფეხ ლიერისა საფანჯრიკოა; 8 კ. ვიდრე 6 მ. თოფი. ნიმუშები დეთმობით უფასოდ, როგორც ქალაქებში, ისე ქალაქ გარედ მცხოვრებთ.

ოქროს მედალი ოდესის გამოფენაზე 1910 წ. 1137

ოქროს მედალი ბრინოსლავლის 1910 წ.

ტფილისის საპოლიტექნიკო კურსები

ინუენერ მ. ნ. ვინოგრადოვისა.

განყოფილებანი: სამიწად-მზომელო, საალმშენებლო, სასოფლო-სამეურნეო და კომერციული. სამიწად-მზომელო და საალმშენებლო განყოფილებებზე მსურველთ იღებენ. **მეცადინეობა 7 ოქტომბერს** დაიწყო. მოწაფეების მიღება გრძელდება. კურსებზე იღებენ სამოქალაქო სასწავლებელში სწავლა დამთავრებულთ გამოუცდელად, დანარჩენებს კი გამოცდით. კურსები იმყოფება სასულიერო სემინარიის ძველს შენობაში. 712

ელექტრონის, რენტგენის სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1468

ბერლინის უნივერსიტეტის ლოქტორი მედიცინისა

გ. მეჰრაბიანცი

დაბრუნდა ევროპიდან და განახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება. სნეულებანი ფილტვებისა—**ჭლექი**—და გულისა. შეთანაბრებული სპეციფიური **ტუბერკულინური** წამლობა. ხელოვნური **პნევმოთერაპია. რენტგენის ელვახებური სხივებით ფილტვებისა და გულის გასინჯვა.**

ყოველ დღე, 9—1 საათ. და ხალამოს 5—7 საათ. კვირაობით 9—12 საათ.

9—10 საათ. **საწყლებს უფასოდ.**

ბებუთოვის ქ. სახ. 23, ტელეფონი 7—92. 1516

აგენტმა

ივანე გრიგოლის ძემ

ზალათიანმა

ავადმყოფობის შემდეგ **გაჯანსაღა** განცხადებებისა და ხელის-მოწერის მიღება ადგილობრივისა და ქალაქ გარეთულ გამოცემებისთვის. წინანდელივით ეხლაც სინდისიერად და კარგად ასრულებს თავის მოვალეობას. მიხეილის ბრ. № 119, სახლი ფორიერისა. ტელეფონი 697. 1493

ექიმი კბილისა პ. მ. მუმულია-კუხალაიშვილი
იღებს დილით 9—2 საათამდე, საღამოს 4—7 ს. ანდრიევის ქუჩა № 81, ვაგზლის ახლო. 697

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** ტ **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3 — 5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ექიმი ე. ი. ფინასიანცი
იღებს ყოველ დღე, შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლევთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ ნაკლულ. ჩაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) ელექ. და დამპალი ციება პარიზულ კლინიკ. პროფ. Mathien. **იღებს** დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. ტფილისი, მიხეილ. ქ. № 86, ტელ. № 576. 1071

ექიმი ი. ზ. ბძელიშვილი
სწამლობს შინაგან, თვალის და ბავშვთა ავადმყოფობას დილით 9—12 საათ., საღამოს 5—7 სათ. 19 თებერვლის ქ. (რიყის ქ.) № 17, ტრამვაის გა'ჩერებელთან, მისიონერთა ახალ ეკლეს. გასწვრივ. 688

მედიცინის დოქტორი
ი. ბ. ჩუდნოვსკი
ნერვებისა და შინაგან ავადმყოფობა. წალობა ელექტრონით და ემანაციით. რადია. მიიღებს ყოველ დღე, დილის 10—111, საღამოს 5—8 ს. კიროჩნის ქ. სახ. № 18. ტელ 1090.. 1528

ექიმი ვ. მ-ძე მანსვეტაშვილი
გადავიდა ახალ სახლში. ოლგას ქუჩა, სახ. მ. ქლიქ-ახარიანცისა, № 3. შინაგანი, ძარღვების და ბავშვების ავადმყოფობათა. იღებს 10—12 დილით, 6—7 საღამოთი. ტელეფონი № 16—02. 707

ექიმი ივ. გოგოლაძელი
ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფთა მიღება დილის 8—12 საათ. საღ. 5—7 საათ. ოლგას ქუჩა, № 20. ტელ. 633. 054

ექიმი პ. ლ. კიკალიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სხეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5½ საათიდან 7 საათამდე. კახეთის ქუჩა № 2, ტელეფონი 15—27. 1502

დოქტორი მედიცინისა
გ. ა. ახვერდოვი,
პეტერბურგის სიფილისისა და ვენერიულ ავადმყოფობათა კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს საშარდის, ვენერიულსა და სიფილისან ავადმყ. დილ. 10—11 ს., საღ. 6—8 ს. ხელმოწერის ქ., № 18, (ვორონკოვის ძველის [illegible] — ბუბნოვ. ქ., № 16. 1159

ექიმი შ. ა. ფიქელაძე
16 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

ექიმი ვ. მუსხელიშვილი
მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე
გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

ბაბურთალზე
მშვენიერ ალაგას
ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიბრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაგრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.
მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თამთაძეშვილს**, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვადა**, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 122

ვაგზლის პერძო სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოხმარულ ავადმყოფობათა.
ვაგზლის ქუჩა № 3. ტელეფონი № 695.
ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.
ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდ. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.
ბ. ა. ბოტოგი. ყოვ. დღე, კვირის გარდ ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.
ეკ. ბ. ილია ილიეულიანცი—იღებს ქალთა ავადმყოფებს. საშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.
ნ. ბ. ფეფიაშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.
ვ. ვ. ბლდანაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი' ბერედვე ყველაფრის ცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.
ნაბდრება „606"-ით 1462

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 სათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

გაზეთ „დენ"-ში დაბეჭდილია საუბარი ახლად დანიშნულ საქართველოს ეკსარხოს, არქიეპისკოპოს **ალექსანდრესთან.**

„მეო,—სთქვა ყოვლად უსამღვდელოესმა,—მარადისობის და მშვიდობიანობის მქადაგებელი ვარ. ამ ნიადაგზე უნდა შეერთდეს ყველა ერი. მთელ ჩემს მოღვაწეობას საქართველოში სწორედ ასეთი მიმართულება ექნება".

ჩვენმა თანამშრომელმა მოიწადინა გაეგო, რომელ პოლიტიკურ მიმართულებას მიემხრობა საქართველოს ეკსარხოსი და შემდეგი პასუხი მიიღო:

„მე მემარჯვენე ვარ, მაგრამ პროგრესის მომხრე და ასეთივე დავრჩები ჩემი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე. კაცმა არ უნდა შეურიოს პოლიტიკური მიმართულება „ადამიანობას". რომელ პოლიტიკურ მიმართულებასაც არ უნდა ეკუთვნოდეს კაცი—ასე თუ ისე, იგი მუდამ უნდა იცავდეს სიმართლეს. ხომ არიან ადამიანები, რომელნიც ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიაში დიდი ადგილი უკავიათ, მაგრამ „სიმართლეს ემსახურებიან".

— როგორ უცქერით „რიტუალურ ლეგენდას"?

— „ებრაელებს ისევე ვეპყრობი, როგორც ყოველ ადამიანს. მათი ყოფა-ცხოვრება კარგად ვიცი... ბიბლიაში მოხსენებულია „სისხლიანის შეწირვა" მაგრამ არა ადამიანებისა, არამედ ცხოველებისა. კაცების მსხვერპლად შეწირვაზე კი ბიბლიაში არაფერი სწერია. მეტსაც ვიტყვი. როდესაც ებრამმა განიზრახა თვისი პირმშოს მსხვერპლად შეწირვა, ღმერთმა ამის ნება არ მისცა. ჩემს სიცოცხლეში შემთხვევა არა მქონია რიტუალურ მკვლელობაში დავრწმუნებულიყავიო.

— შესაძლოა თუ არა ებრაელთა შორის იყოს ჯგუფი, რომელიც რიტუალურ მკვლელობას [illegible] დეს?—არქიეპისკოპოსმა უპასუხა.

— ამის გამო არავიცი-რა და ვერც გიპასუხებთ. არის, თუ არა ასეთი ჯგუფი, სულ ერთია; ბეილისის დანაშაულობას კი მე ჯერ-ჯერობით საფუძვლიანად ვსთვლი".

ახალი ამგავი

ტფილისი

◆ **მეფის მოადგილის ჩამოსვლა.** გუშინ ნაშუადღევს, ტფილისს ჩამოვიდა მეფის მოადგილე გრაფი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვი მეუღლითურთ. მეფის მოადგილეს რკინის გზის სადგურზე სამღვდელოება და სამხედრო და საერო უწყებათა უმაღლესი წარმომადგენელნი დაუხვდენენ. გრაფიდია ეტლით ვაგზლის ქუჩით, სადოვისა, მიხეილის ქუჩით და შემდეგ ვერის ალმართით სასახლეში მოვიდა საღამოს 6 საათზე. აქაც დიდ-ძალი ხალხი დაუხვდა. მთელი ქალაქი ბაირაღებით იყო მორთული. დაწვრილებით ხვალ.

◆ **მოსკოვიდან ტფილისში ჩამოვიდა ჭიანურის დამკვრელი ილიკო ქურხული,** რომელსაც აზრად აქვს ტფილისშიც ჩამოიაროს ღარიბი განაპირა სახლების ეზოები და გააცნოს ხალხს კლასიკური მუსიკალური ნაწარმოები, ისე როგორც მოსკოვსა და პეტერბურგში. გარდა ამისა, მას განზრახავა აქვს ერთი კონცერტი გამართოს ქართულ თეატრის დარბაზში, სადაც სცენაზე მოაწყობს მოსკოვის ეზოს. აქედან ილიკო ქურხული მიემგზავრება მოსკოვის „საფილარმონიო" კონსერვატორიის დასასრულებლად, სადაც სწავლობს პროფ. სიბორის ხელმძღვანელობით. ილიკოს სურს აგრეედვე უნივერსიტეტში შესვლაც.

◆ **საგრონომიო დახმარება.** ამ დღეებში გუბერნატორის თავმჯდომარეობით აგრონომთა თათბირი მოხდა მცხოვრებთათვის საგრონომიო დახმარების აღმოჩენის თაობაზე. თათბირმა საჭიროდ აღიარა, მთელი ტფილისის გუბერნია ხუთ საგრონომიო რაიონად დაჰყოს და თვითეულ რაიონში დანიშნოს ერთი აგრონომი და ორი მისი თანაშემწე. აგრონომს უმაღლესი სწავლა უნდა ჰქონდეს გათავებული, ხოლო თანაშემწეს—საშუალო.

◆ რედაქციამ მიიღო „ცოდნა"-ს წიგნის მაღაზიის მიერ მშვენიერად გამოცემული **სურათი ნიკო ბარათაშვილისა.**

◆ **საღამოს კურსები.** მოკლე ხანში ვერაზე სახალხო უნივერსიტეტის ქართულ სექციის მიერ კვლავ მოწყობილ იქმნება საღამოს კურსები მოზრდილთათვის. ლექციების კითხვა ქართულს ენაზე იქნება. მსურველთ მსმენელად ჩაწერა შეუძლიანთ დღეიდან, საღამოს 7-დან 9 საათამდე, ვერის საქალაქო სკოლაში (ოლგას ქ., 57).

◆ **დანიელ ჭონქაძის დილა.** სახალხო უნივერსიტეტის ქართულმა სექციამ დაადგინა, 27 ოქტომბერს სახალხო სახლში სალიტერატურო დილა გამართოს მწერლის დანიელ ჭონქაძის ხსოვნის აღსანიშნავად.

◆ **სენატორ ვატაცის გადადგომა.** როგორც გავიგეთ, მეფის მოადგილის თანაშემწე სენატორი ე. ა. ვატაცი კავკასიაში სამსახურს თავს ანებებს. მის თანამდებობის აღმასრულებელად დროებით დაინიშნება მეფის მოადგილის კანცელარიის დირექტორი ნ. ლ. პეტერსონი.

◆ **ქუთაისის გუბერნატორი გენერალი სლავოჩინსკი,** როგორც გავიგეთ, სამსახურს თავს ანებებს. ოფიციალურ ცნობას მის გადადგომის შესახებ ამ დღეებში გამოაქვეყნებენ.

◆ **მეჩექმეთა შორის.** კვირას, 20 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, შრომის ბირჟის სადგომში მოხდება მეჩექმე მუშათა საპროფესიო საზოგადოების წევრთა კრება, რომლის საგანიც არის: 1) ახალ წევრების მიღება, 2) დროებით გამგეობის მოხსენება საზოგადოების საქმეთა შესახებ, 3) გამგეობის ახალ წევრთა არჩევნები, 4) სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები, 5) მოხსენება საწევრო გადასახადის შესახებ, 6) საკითხი გამგეობისთვის ბინის დაქირავების შესახებ და 7) მორიგი საკითხები.

◆ კვირას, 13 ოქტომბერს, **ტფილისის ქართულ გიმნაზიაში მოხდა მშობელთა კრება,** რომელზედაც არჩეულ იქნენ გიმნაზიასთან არსებულ მშობელთა წრის საბჭოს წევრად შემდეგი პირები: ზალდასტანიშვილი ნ., ფურცელაძე ნიკოლ. (მდივანი)., მიქაბერიძისა ვ., ბაქრაძე სპირ., გაჩიჩილაძე ალ., [illegible] ვასილი (თავმჯდომარე), ჯაფარიძე კ. (თავმჯდომ. ალბანაგი), გორდელაძე ერასტი, ძიძიშვილი ივ., ნატროშვილი სიმ., ნეიმანი ალ. (ხაზინადარი). საბჭოს პირველი კრება მოხდა ოთხშაბათს, 16 ოქტომბერს. მორიგი კრება დანიშნულია ყოველ შაბათობით, საღამოს 7 საათზე.

საზოგადოებანი და კრებები

◆ 20 ოქტომბერს, კვირას, **მოხდება სკოლის გარეშე განათლების საზოგადოების კრება,** რომელიც შემდეგ საკითხებს განიხილავს; ახალი წევრების მიღება, 1912/3 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა, ხაზინადრის მოხსენება, სარევიზიო კომისიის მოხსენება, გამგეობის სამი წევრისა და ძათი კანდიდატების არჩევა, 15 წლის თავის დღესასწაულის გამართვა (26 იანვარს 1914 წ.) და მიმდინარე საქმეები.

◆ ორშაბათს, 21 ოქტომბერს, დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში, დანიშნულია **ტფ. ქართველ ქალთა საზოგადო კრება.** განსახილველია შემდეგი საგნები; 1) მოხსენება კომისიის მოქმედების შესახებ, 2) მიღება ახალი წევრებისა და 3) არჩევა საბჭოს და სარევიზიო კომისიის წევრებისა.

◆ პარასკევს, 18 ოქტომბერს, საღ. 7 საათზე ქ-ნ მისტროვის ქალის ბინაზე **დანიშნულია საზოგ. „კაპეიკი"-ს გამგეობის სხდომა** მიმდინარე საქმეების გასარჩევად. ამ სხდომაზე იწვევენ იმ პირთ, რომელთაც აბარიათ სამარკო წიგნაკები, რათა შემოწმებულ იქმნას მათ მიერ შეგროვილი შემოწირულების ანგარიში, თანახმად 4 ოქტომბერს გამგეობის დადგენილებისა.

სასამართლო

◆ ოზურგეთის საფოსტო-სატელეგრაფო კანტორიდან ყალბი საბუთებით ფულის გატანის საქმე 16 ოქტომბერს დასრულდა. სასამართლომ დამნაშავედ იცნო და მიუსაჯა: ასათიანს, ალექსანდროვსკის, ტრეასკოვსკის და პლატნიკოვს 2 წლით და 8 თვით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა, ქიქოძეს, მაქაცარიას და მახარაძეს—ორ-ორი წლით, კობულავიძეს სპეკულარიელ—2 წლით. ნაცვლიშვილი კი უდანაშაულოდ სცნო და გაამართლა.

გორის ქართველ ქალთა წრის პირველი საზოგადო კრება

კვირას, 13 ოქტომბერს, ადგილობრივ კლუბის დარბაზში მოხდა გორის ქართველ ქალთა წრის „მანდილოსანი"-ს პირველი საზოგადო კრება. კრება დანიშნული იყო დილის თერთმეტ საათზე, მაგრამ ქალები ნელ-ნელა იკრიბებიან. დარბაზში ჯგუფ-ჯგუფად მუსაიფია გამართული. ზოგნი ქალთა წრეზე ბაასობენ, ზოგნი მშობელთა წრეებზე, რომელიც დაარსდა ადგილობრივ სავაჭრო და ქალთა გიმნაზიებთან, ზოგთ საოჯახო საქმეები აქ გახსენებიათ და იმაზე აქვთ ბჭობა. დარბაზი ნელ-ნელა ივსება. უფრო ინტელიგენცია სჩანს, დაბალი ოჯახის წარმომადგენელნი ნაკლებ არიან. მათ ან არ იციან მნიშვნელობა, მიზანი წრისა, ან კრების მოხდენა ვერ გაუგიათ, თუმცა სათანადო განცხადებით წინასწარ ეუწყა ეს საზოგადოებას...

კრება პირველის 15 წუთზე იწყება. სცენაზე წინ წამოდგება წრის დამაარსებელი დიდად პატივცემული **ანასტ. ერისთავ-ხოშტარიასი** და მოკლე, მაგრამ შინაარსიან სიტყვაში განმარტავს ქალთა თანამედროვე, უკუღმართ მდგომარეობას, მათ უუფლებობას, დაბეჩავებას, განმარტავს წრის მიზანს, მნიშვნელობას და დასძენს—„მანდილოსანი" გამოგვიყვანს იმ დუხჭირ მდგომარეობიდან, რომელშიაც დღეს ვართ ჩაცვივნულნი, „მანდილოსანი" აგვამაღლებს სულიერად, წინ წაგვწევს გონებრივადო... ბევრი დაბრკოლება გადაგვეღობება წინ, ბევრი ხელ-შემშლელი პირობა წამოჰყოფს თავს, მაგრამ უამისობაც ხომ არ იქნება ღღეს. ნათელს ყველგან თან ახლავს ბნელი, კეთილს—ბოროტი, მაგრამ ნუ შევშინდებით, შეეერთდეთ და შეერთებულის ძალ-ღონით გავუმკლავდეთ გასაჭირს, ჩავებათ საქმიანობაში, შევქმნათ ცხოვრების სკოლა და დავანახვოთ ყველას, რომ ცოცხალია, არ მომკვდარა ქართველი ქალიო...

კრება ტაშის ცემით ეგებება ამ სიტყვას.

პროვინციიდან ჩამოსული რამდენიმე ქალი მოკლე სიტყვით მიესალმება და თანაგრძნობა-სიმპატიას უცხადებს ქალთა წრეს.

ანასტ. ერისთ. ხოშტ. წინადადებას აძლევს კრებას წრის საპატიო თავმჯდომარედ დატოვებულ იქნას **კნ. ან. ალ. ამილახვრისა.** კრება სთანხმდება.

თავმჯდომარე **ანასტ. ერისთ. ხოშტარიასი** სთხოვს დაძსწრეთ ამოირჩონ წრის გამგეობა, სარევიზიო კომისია, მდივანი და ხაზინადარი.

მარ. კეზელისა. გამგეობა უკვე იყო ამორჩეული წარსულ ზამთარში და, არ ვიცი, რისთვისაა საჭიროა ახლის ამორჩევა. საჭიროა დამტკიცდეს ძველი წევრები და ამოირჩონ ახლები მხოლოდ მათ ნაცვლად, ვინც არ ისურვებს ძველს გამგეობაში დარჩენას.

სოფ. ციციშვილისა. როგორც პროვიციის ქალთა წარმომადგენელი, მოითხოვს, რომ გამგეობაში ამორჩეულ იქნენ წარმომადგენელნიც პროვინციიდან.

ან. ერის. ხოშტ. (კეზელს) მართალია, წინად გამგეობა ამოვირჩიეთ, მაგრამ ის არ ჩევნები უკანონო იყო, წრის წესდების დამტკიცებამდე. ჩვენ შეგვიძლიან დედოფლად ამოვირჩიოთ ჩვენი თავი, მაგრამ დედოფლად ჩვენ არავინ დაგვამტკიცებს. შეიძლება ძველს გამგეობაში მავნე პირნიც ერიენენ, შეიძლება კრებამ ისინი არ ისურვოს. დღეს იხსნება პირველი საზოგადო კრება წრისა და დღეს უნდა იქნეს ამორჩეული ახალი გამგეობა.

თ. ზ. თარხან-მოურავისა შეურაცხყოფილად სთვლის თავს, როგორც წევრი ძველი გამგეობისა. რად ირჩევდით გამგეობას, თუ ნდობა არა გქონდათ მისიო.

დიდი ხმაურობაა. არა ისმის რა. თავმჯდომარე ზარსა რეკს. მარცხენა ფრთიდან რამდენიმე ქალი დემონსტრატიულად სტოვებს დარბაზს.

ი. კვალიაშვილისა ამბობს: თუ გამგეობა ამოვირჩიეთ წინად, ეს იმიტომ, რომ საზოგადოებისათვის დაგვენახვებინა, რომ საქმეს ვიწყებდით. მოითხოვს ახალი გამგეობის ამორჩევას.

მას ეხმრობა ქ-ნი **ნანეიშვილისაც.**

კვლავ ხმაურობაა. იმართება ჯგუფობრივი კამათი რუსულად.

თავმჯდ. ან. ხოშტარიასი წინადადებას იძლევა ამოირჩიონ თავმჯდომარე გამგეობისა.

„თქვენ იყავით, თქვენ"!.. ისმის აქეთ-იქიდან.

ან. ერ. ხოშტ. მე განზრახ არა მსურს წრეს ვუდგე სათავეში. მე სხვაფრივაც შემიძლიან ვემსახურო სამშობლოს. პირადი ჩემი ცხოვრებით კმაყოფილი ვარ (ხმაურობა მარცხენა ფრთიდან)... ჩემი სურვილი იყო მხოლოდ მალამო გამომენახა იმ გაჭირვებისათვის, რომელიც იყო და არის გამეფებული ჩემს ირგვლივ. ჩემს საწადელს მივაღწიე, საძირკველი ჩაეყარა ქალთა წრეს, რომელზედაც მე დღე და დამ ვოცნებობდი... იქნება ვინმე გამოჩნდეს უფრო სასარგებლო პირი, აირჩიეთ ის, მე კი შეძლების დაგვარად ისევ დავეხმარები წრეს, როგორც აქნობამდე...

„თქვენ იყავით, თქვენ"!... გაისმის კვლავ.

მარ. კეზელისა მოითხოვს, რომ თავმჯდომარე ამორჩეულ იქნას ფარული კენჭის ყრით.

ფეხზე სდგება თითქმის ყველა და ამით ან. ხოშტარიას მეუღლის არჩევას ადასტურებს.

ზოგიერთი არჩევანს უკანონოდ აღიარებს და უთითებს წესდების მე-24-ე მუხლზე, სადაც სწერია: „გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრებს კრება სამი წლით ირჩევს **დახურული კენჭის ყრითო".** არიგებენ ბარათებს. ხდება ფარული კენჭის ყრა. შედეგი: **ან. ერ. ხოშტარიასამ** მიიღო 55 თეთრი და 1 შავი. ო. გ. გოგლიჩიძისამ 1 თეთრი.

თავმჯდომარედ არჩეულია ან. ერისთავ-ხოშტარიასი. მის თანაშემწედ ირჩევენ ო. გოგლიჩიძისას.

ამოსარჩევია 12 წევრი გამგეობისა.

თ. ზ. თარხან-მოურავისა მოითხოვს: ჯერ გადასწყვიტონ—შეევლენ თუ არა გამგეობაში პროვინციის წარმომადგენელნი.

ან. ხოშტარ. წინააღმდეგ აზრს გამოსთქვამს და დასძენს: გამგეობას კვირაში ერთხელ მაინც ექნება კრება და სოფლებიდან გამგეობის წევრნი ვერ ჩამოვლენ.

ქეთ. სააკაშვილისა მოითხოვს: გამგეობაში იყვნენ წარმომადგენელნი პროვინციელ ქალებისაც. რაკი მოვალეობა დაეკისრებათ და დროც იქნება დანიშნული, ყველა თავის დროზე ჩამოვა. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია კავშირი პროვინციისა (ენტრთანაო.

კრებამ დაადგინა: გამგეობაში ამორჩეულ იქნენ პროვინციის წარმომადგენელნიც.

ასახელებენ გამგეობის წევრთა კანდიდატებს.

კანდიდატების სახელი და გვარი უმეტესად რუსულად არის დაწერილი. **ო. მ. კვალიაშვილისა** პროტესტს აცხადებს ამის წინააღმდეგ—თუ ქართველები ხართ, ქართულად დასწერეთო (აქ უნდა შევნიშნოთ, რომ პატივცემული ოლღა მაქსიმეს ასული კვალიაშვილისა ტომით უკრაინელია, მშვენიერად იცის ქართული, ქართულად ზრდის შვილებს და ქართულს საქმეებში დიდს მონაწილეობას იღებს).

ფარული კენჭით გამგეობაში ამორჩეულ იქმნენ.

ი. კვალიაშვილისა (46 ხმით), სოფ. ციციშვილისა (46) (პროვინცელია), თ. ა. თარხნიშვილისა (45), მ. ღვინიაშვილი (43), ბ. ამილახვრისა (43), ა. კაპანაძისა (40) ნ. შიუკაშვილისა (39), ა. მაისურაძის ასული (39), ნ. ა. ლომოურის ასული (37), ქეთ. ჯავახიშვილის ასული (34), ქეთ. სააკაშვილისა (34), ო. მ. კვალიაშვილისა (28).

მათ კანდიდატებად: ს. ციციშვილისა, ნ. კიკნაძისა და მ. ელიოზიშვილისა.

სარევიზო კომისიაში: ა. ქიტიაშვილისა (27), ლისოვსკისა (18), მ. მელიქიშვილის ასული (11).

მათ კანდიდატებად კნ. ე. ერისთავისა.

არჩევნების შემდეგ ნ. შიუკაშვილისამ გამგეობის წევრობაზე უარი განაცხადა. მის ნაცვლად ამორჩეულ იქმნა კნ. ს. ერისთავისა.

ხაზინადრად ამოირჩიეს ნ. ა. ლომოურის ასული, მდივნად—ქეთ. სააკაშვილისა.

კრების შემდეგ საპატიო წევრად ჩაეწერა კნ. ან. ალ. ამილახვრისა და შეიტანა 50 მან.; საწევრო ფული—1 მან. იქვე შეიტანა ბევრმა.

კრება გაგრძელდა ოთხ საათამდე და რადგან დაგვიანებული იყო, საჭირო საკითხთა განხილვა შემდეგისთვის გადაიდო.

დასასრულ არ შემიძლიან ორიოდე სიტყვა არა ვსთქვა კერძოდ ამ კრებაზე და საზოგადოდ წრეზე. უწინარეს ყოვლისა, შევამჩნიე, რომ ის თანხმობა, რომელიც სუფევდა ამ წრის პირველ დამფუძნებელ კრებაზე წარსულ ზამთარში, თითქოს დარღვეულია, დისთანხმა შეჰპარვია. არ მინდა დავიჯერო, რომ ეს ასეა. ბევრამ შთაბეჭდილება კი ასეთი იყო და ამას ჰმოწმობს ის „დემონსტრაცია", რომელსაც ჰქონდა ადგილი 13 ოქტომბრის კრებაზე. ნაკლად უნდა ჩაეთვალოს კრებას ისიც, რომ სჯა-ბაასი მეტად ბრელი იყო. ქართულიდან რუსულზე გადახტომა და რუსულიდან ქართულზე მეტად ცუდს შთაბეჭდილებას სტოვებს; ესეც რომ არ იყვეს, სჯა-ბაასს სავსებით ვერ ადევნებენ გონებას ის ქალნი, რომელთაც არ ესმით რუსული, მაგრამ მოსულან კრებაზე წმინდა გულით, წმინდა გრძნობებით.

ცოტა რამ წრის შესახებაც: ამას წინად ჩემდა უნებურად ორ წლამდე მომიხდა რუსეთის ერთ ქალაქში, სახელდობრ დონის როსტოვში, ცხოვრება. სხვათა შორის გავეცანი იქაურ ქალთა საზოგადოებას და დავრწმუნდი, რომ... პირად მტრობას, შურს, ქიშპობას, მათ შორის ძაბლიან, ძალიან ნაკლები ადგილი უჭირავს, თუმცა საზოგადოება უფრო ფართოა და ინტერნაციონალური! საზოგადოებას აქვს საკუთარი კლუბი, სადაც სისტემატიურად კითხულობენ ლექციებს, უმეტეს ნაწილად ქალთა საკითხზე (სხვათა შორის ამ კლუბის ერთი თავალსაჩინო ლექტორთაგანი იყო აწ განსვენებული შალვა ნათაძე, რომელიც ამ დორს როსტოვში მასწავლებლობდა), იმართება საოჯახო სადამოები, წარმოდგენები, კონცერტები, გონივრული გასართობები... მაგრამ ყველაზე საინტერესოა და სმგუელისხმიერო-ეს ქუჩის, ღარიბ ბავშთათვის გამართული საღამოა. წელიწადში ერთხელ ან ორჯერ ჰმართავენ ამ საღამოს. იწვევენ კლუბის დარბაზში ღარიბ ბავშებს, ურიგებენ თბილ ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, ტკბილეულობას... უმართავენ ცეკვა-თამაშს, სიმღერებს, საბავშო წარმოდგენებს... ჩვენი „მანდილოსანი", რასაკვირველია, ყველა ამისაგან შორს იქნება ჯერ-ჯერობით მაინც უსახსრობისა, თუ საჭირო ძალთა არ ყოლის გამო, მაგრამ ისიც თვალსაჩინო პლიუსად ჩაეთვლება წრეს, თუ შესძლებს თავის დროზეს ქვეშ ქართველ ქალთა შემოკრებს განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა, თუ აღმოუჩენს ქონებრივ-ზნეობრივ მცირე დახმარებას მაინც თვის გაჭირვებულ წევრთ და დედის მზრუნველი თვალით მიჰხედავს იმ პაწია ქართველ ყრმათ, რომელთათვის ბედი ულმობელ დედინაცვლად გადაქცეულა და ქუჩის სიბინძურეში იფლობიან.

იმედია, ჩვენი ქალებიც თავიდანვე დაჰგმობენ იმ მავნე სენს, რომელსაც ქიშპობა, შური, უთანხმოება ეწოდება, სულით, გულით შეერთდებიან და ერთი მიზნით, ერთის სურვილით გამსქვალულნი, თანხმობით გასწევენ იმ ეკლიან გზაზე, რომელიც მათ დაუსახავთ...

„აქ არის, დიახ, თქვენი მაღალი დანიშნულება და სამართო ვალი".

სანგანიძე.

სომეხთა ცხოვრება

კავკასიის სომეხთა გამომცემელ საზოგადოების თაოსნობით 19 ოქტომბერს, ტფილისის საკრებულოში გაიმართება სალიტერატურო-სამუსიკო სადამო ცნობილ აშუღის საიათ-ნოვას სახსოვრად. მონაწილეობას მიიღებენ ტფილისის აშუღები, აშუღ ჰაზირას მეთაურობით. სცენა წარმოადგენს ძველ ტფილისის მეჯლისს.

სომხურ გაზეთებს ატყობინებენ სხვადასხვა ადგილებიდან, რომ ყველგან, სადაც კი სომხობა არსებობს, დიდის ამბით გადაუხდიათ სომხურ ან-ბანის 1500 წლის იუბილე და ბეჭედვითი სიტყვის დღესასწაული.

ტფილისის გუბერნატორმა ნება დართო ახლად განსვენებულ სიმონ ზავარიანის ნათესავებს მისი გვამი ჩამოასვენონ ტფილისს, თავის სამშობლოში დასაკრძალავად. ტფილისის სომხურმა პრესამ განურჩევლად მიმართულებისა მის ხსოვნას წერილები უძღვნა.

კვირას, 20 ოქტომბერს დანიშნულია კავკასიის სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოების წლიური საერთო კრება სხვა და სხვა საკითხის განსახილველად. სხვათა შორის განხილულ იქნება კავკასიის გლეხების დახმარების საკითხი, მოუსავლობის გამო.

—

ვაზ. „მშაკს" დეპეშით ატყობინებენ როსტოვიდან, რომ ადგილობრივ სომხების დეპუტაცია წარუდგა კავკასიის ნამესტნიკს გრაფ. ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვს რასტოვის სად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურზე და ნაფიცი-ვექილის გ. ჩალხუშიანის პირით მიულოცა გრაფს კავკასიაში მშვიდობით დაბრუნება.

—

სომეხთა დღესასწაულის გამო დაარსებულ სასკოლო ფონდის სასარგებლოდ დაახლოვებით 500,000 მანეთი შეგროვდება, რომელიც მოხმარდება სომეხთა სკოლების გაძლიერების საქმეს.

—

სომხურ გაზ. „კოვკასი ლრაბერ“-ში იბეჭდება ვრცელი მოგონებანი სომხის მოღვაწის მაკარ ჩმშკიანისა, „წინამძღვარიანთ კარის“ სკოლის გახსნის დროინდელი.

ქართველები გაჰკრნენ!

რუსეთი კურიოზების მხარეა. აი, მაგალითად, რომელ კულტურულ სახელმწიფოს უწყებას მოუვა ასეთი კურიოზი, როგორც „ადგილობრივ მეურნეობის საქმეთა უმთავრეს გამგეობას“ მოუვიდა?—დაავიწყდათ მთელი ერი—ქართველები. ამ უწყებას დაუკარგავს ქართველები ისე, როგორც გოგოლის მოთხრობის გმირს. მოხელეს ცხვირი დაეკარგა და მგონი ჩეხოვის გმირს კი—პარასკევი.

ამ უწყებამ გუბერნატორების შემწეობით ქალაქებს განსაკუთრებული ცხრილები დაუგზავნა; სთხოვა ეს „ცხრილები“ გაევსოთ სტატისტიკური ცნობებით და დაებრუნებიათ. ამ გვარად შეკრებილი მასალები საპირო ყოფილა იმიტომ, რომ საქალაქო დებულება უკვე დაძველდა და საჭიროა მისი გადათვალიერება საკანონმდებლო წესით. ასეთი „ცხრილები“, როგორც ტფილისის ქალაქის მოურავმა საბჭოს აუწყა 14-ს ოქტომბერს კრებაზე, ტფილისის ქალაქის გამგეობასაც მოსვლია. ცხრილები იმდენად უყურადღებოდ არის შედგენილი, რომ მითი შეკრებილი ცნობები მხოლოდ შეცდომაში შეიყვანს კაცს. იგი საუკეთესო დამამტკიცებელია იმისი, თუ რა საუცხოოდ ეკიდებიან რუსეთის სახელმწიფო დაწესებულებანი უცხო ერებს და რა ღირებულების სტატისტიკურ ცნობებს აქვეყნებს მათ შესახებ. გამგეობას სულ ხუთი ცხრილი მოსვლია: პირველ ცხრილში დასმულია კითხვები ქალაქების შემადგენლობის შესახებ ეროვნების მხრით. ამ რიგში მოქცეულნი არიან ცალ-ცალკე: გერმანელები, პოლონელები, ლიტველები, ესტონელები, თათრები, მაჰმადიანები, და ებრაელები. მაშასადამე უწყებას შესაძლოდ არ უცვნია ცალკე მოექცია ორ მილიონიანი ერი-ქართველები, რომლის ათას წლიანი კულტურა გაცილებით მაღლა სდგას ვიდრე თვით შემდგენლებისა. გარდა ამისა ფრიად საყურადღებოა ის გარემოება, რომ ქართველი მაჰმადიანები, რომელთა რიცხვი ხუთას ათას კაცს აღემატება, მოწერილნი არიან „прочие магометане“-ბად. ამასადამე, როგორც უწყებს, ისე ყველა წამკითხავს არავითარი წარმოდგენა არ ექნება ამიერ კავკასიაში ეროვნებათა ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ. შეიძლება ეს ყველაფერი არა სცოდნოდათ იქ უწყებაში. მაგრამ გასაოცარია ჩვენი ქალაქის გამგეობის და განსაკუთრებით ქალაქის მოურავის, ხატისოვის საქციელი. საბჭოს კრებაზე მან განაცხადა: მაჩქარებდნენ, ცნობები 15 ოქტომბრებდე უნდა წარმედგინა, ამიტომ საჩქაროდ შევკრიბე ცნობები და გავგზავნეო. ოღონდაც: კიდევაც რომ არ დაეჩქარებინათ ბ-ნი ხატისოვი თვით აჩქარდებოდა, რადგანაც მისთვის და მისიანებისათვის ხელსაყრელია რომა სთქვან: ქართველები ტფილისში სრულებით არ არიანო. ჩვენ გვგონია, ყოველ პატიოსან ქალაქის მოურავის მოვალეობა იყო ეს ცხრილები შეესწორებინა, რომ საჭიროა ქართველებისათვისაც ცალკე ცხრილი, რადგან მათ ქალაქის ელემენტებში თუ პირველი ადგილი არა, მესამე ადგილი მაინც უჭირავს („ოფიციალურ“ ცნობების მიხედვით შედგენილ სტატისტიკის სიტყვითაც კი). ჩვენა გვგონია, რომ ყოველი საზოგადო მოღვაწე გაწითლდებოდა იმ საყვედურით, რომელიც ქალაქის გამგეობამ მიიღო საბჭოს სხდომაზე, მაგრამ... რა უნდა სიწითლეს იქ, სადაც სირცხვილი აღარ არის?

კორდელი.

პატარა ფელეტონი

სახლი № 16, ბინა № 6.

— ა, ვანოს გაუმარჯოს! როდის ჩამოსულხართ საქართველოდან? რა ამბავია თქვენსკენ? იცით, მართლა. შაბათს ჩემს მეგობართან მოდით, სტრეკალოვასთან... — ეუბნებოდა ახალგაზრდა კურსისტკა სტუდენტს ვანოს.

— რომ არ ვიცნობ...

— ეჰ, რა უშავს! ის ისეთი კარგი ქალია, ჩვენი კურსისტკაა. მთელი კამპანია იქნება. ვ ბაასებთ, ვიმღერებთ, ვიცინებთ, ვიმხიარულებთ... ხომ მოხვალთ?

— კარგი, მოვალ. მაშ, ასე—ხარების ქუჩა, სახლი 16, ბინა 6. ნინა პეტროვნა სტრეკალოვა, არა?

— ჰო, მხოლოდ არ დაივიწყოთ.

შაბათს საღამოთი ვანო გამოეწყო თავის ცოტა შეხუნებულ სერთუკით და წავიდა ხარების ქუჩაზე. ქვიტკირის დიდს სახლში, მესამე სართულზე ავიდა და დარეკა ზარი. გაუღეს ქარები.

— ნინა პეტროვნა შინ არის?

— ნინა პეტროვნა? ჩვენთან ეხლახან ერთი ქალიშვილი გადმოვიდა, კურსისტკა, არ ვიცი, რა ჰქვიან...

— ჰო, სწორედ ის არის ნინა პეტროვნა.

— მხოლოდ ის ეხლა შინ არ არის, მაგრამ ამბავი დასტოვა, თუ ჩემთან ვინმე მოვიდეს, მომიცადოსო. იქ უკვე ორი ქალი უცდის.

ვანო შევიდა ოთახში. ვიღაც ორი უცნობი ახალგაზდა ქალი ისხდა და ბაასობდა. ვანო მიესალმა მათ, გიხადა პალტო და დაუწყო ოთახს თვალიერება.

— კარგი ოთახია,—სთქვა ერთმა ქალმა,—თქვენ როგორ მოგწონთ?

— ჰო, არა უშავს რა,—უპასუხა ვანომ,—მხოლოდ აი ეს დიასახლისის ოლეოგრაფიები კი რომ არ იყოს ემჯობინება.

— რათა?

— მეშინაობაა. ცუდი სურათი მაინცა სჯობს კარგს ოლეოგრაფია!

გაჩაღდა კამათი. მსჯელობდნენ მხატვრობაზე, ხელოვნების პრობლემებზე...

გაიღო კარი და შემოვიდა სიცოცხლით სავსე, ტურფა, კეკლუცი ქალწული ნავაკრით ხელში.

— უჰ, რა საშინლად კამათობენ! გამარჯობა ლიუდმილა! გამარჯობა! გამარჯობა! აბა, თქვენ კამათი განაგრძეთ, მე კი სამოვარის შესახებ ვიზრუნებ.

ის იცინოდა, დასრიალობდა, და რადაც საიდუმლო სიხარულით იყო აღსავსე მთელი მისი არსება.

სანამ სამოვარს შემოიტანდნენ, მოვიდა კიდევ სამი ქალი და ორი სტუდენტი, ვანოს უცნობები. მაგრამ ვანო უკვე მოშინაურდა, ხუმრობდა, კამათობდა, იცინოდა. ოთახის პატრონი ახალ ბინადრობას დღესასწაულობდა და ყველაფერი ეყიდნა, ორი ბოთლი ღვინოც კი. ვანო სვამდა, სჭამდა და ბოლოს სიმღერაც მოინდომა.

დაიწყეს მღერა. ბევრს რამეს მღეროდნენ კარგად, ვანოს კარგი მოძახილი ჰქონდა, და სთხოვეს ლენსკის ნინა პეტროვნა სტრეკალოვას.

— აი სულელური სადღეგრძელო,—იცინოდა კამპანია,—მაგრამ ანტონინა ნიკოლაევნას სახელი რაღად შეუცვალეთ?

— როგორ შევუცვალე?—გაუკვირდა ვანოს,—ნინა პეტროვნა, ეს მე კარგად მახსოვს, სტრეკალოვა.

— განა ერთმანეთს არ იცნობთ?—გაიცინა ლიზოჩკამ. — ანტონინა ნიკოლაევნა!

— დაიცა,—სიცილით უპასუხა დიასახლისმა,—ვინ გითხრათ, რომ მე, ნინა პეტროვნა ვარ?

— ლიუდმილა ივანოვნამ.

— ვინ ლიუდმილა ივანოვნაა?

— როგორ თუ ვინ?! პოლიანსკაია!

— არ ვიცი!

— საკვირველია,—უფრო გაოცდა ვანო,—იმან დამპატიჟა მე თქვენსა, იმიტომ არ მიკვირდა, რატომ ან თითონ არ არის აქ, ან სხვა ვინმე ნაცნობი-მეთქი.

— რა მისამართი მოგცათ, მერე?

— ხარების ქუჩა, სახლი 16, ბინა 6. უცბად საერთო სიცილი გაისმა.

— ეს კი... ჰა, ჰა, ჰა! ეს... სახლი № 6, ბინა 16 არის!

გ. ნამორიძე.

წერილები პეტერბურგიდან

ქართველებმა დიდი ხანია რუსეთში ნდობა დაკარგეთ. მე ვამბობ არა იმ ნდობაზე, რომელსაც მეფის მოადგილე კავკასიაში არკვევს თავის კანონ-პროექტში, არამედ იმ ნდობაზე, რომელიც უფრო ფართო, უფრო სხვა ჯურის ხალხისგან გვქონდა. ქართველების სახელის გატეხას ერთის მხრით ქართველი სტუდენტების ერთი მცირე, მაგრამ მაინც თვალსაჩინო ნაწილი, უწყობდა აქამდე ხელს და რასაც ისინი აკლებდნენ, სხვა და სხვა გვარის „ბედის მაძებარნი“ ავსებდნენ. აქამდე, მაგალითად, ქართველს სიამოვნებით იღებდნენ ყოველგვარ სამსახურში: ბანკებში, (სახელმწიფო თუ კერძოში), რედაქციებში, რკინის გზებზე, გაბესხებელ-შემნახველ კასებში და სხვა. ჩვენი სახელი არ იყო ჯერ გაფუჭებული, შელახული და ჩვენში, რადგან ამ ხნობით დიდს დევნას განიცდიან ჩვენები სამსახურში, ან არ იღებენ და თუ მიიღებ იმავე ადგილზე კვდებოდნენ, აქ თავისუფლად შეეძლოთ ეშოვათ სარჩო და ახლაც ბევრი ირჩენს ამით თავს.

მაგრამ გაიარა ხანმა და საოცარი ცვლილება მოხდა: თუ კი ძლიერ დიდი პროტექცია არა გვაქვს, თუ კი ვინმე ცნობილი პირი არ გვწყალობს, ქართველებისათვის კარი ყველგან დახშულია, ყველგან, სადაც კი საჭიროა კეთილსინდისიერი, პატიოსანი ადამიანი. კეთილსაიმედოდ არ მივ-ჩნევართ, სახელი პატიოსან ადამიანისა დაგვიკარგა თითო-ოროლმა ავაზაკმა, ზნეობით მეხინჯმა ადამიანმა.

ამ უკანასკნელ დროს კიდევ ცენტრალურ ბანკში, სადაც თ-დი მიქელაძეა გამგეობ-ს წევრად, აი რა ავაზაკობა მომხდარ: კავკასიის საურთიერთო ნდობის საზოგადოებებს წარუდგინა ვიღაც პირმა, ვითომდა თ-დმა წერეთელმა, აღმასრულებელი ფურცელი, ვ-ღაც ქუთაისის ბოქაულის მიერ შედგენილი, ცენტრალურ ბანკის თავმჯდომარის მაგიერ თ-დ მიქელაძისაგან ხელმოწერილი, მდივნებისაგან დამტკიცებული, ბანკისავე ქალალდზე დაწერილი, ბანკის კონვერტში და ბანკის ბეჭედ-დაკრული. პეტერბურგის ცენტრალური ბანკი, სთხოვდა იქაურ განყოფილებას, დაეკმაყოფილებინათ თ-დ წერეთლის ფურცელი რადგან ასეთი მოწერილობა ხშირია და მიღებულია ბანკებს შორის, ეჭვი არავის შეჰპარვია დოკუმენტების სიყალბეში და იმათაც დაუყონებლივ შეასრულეს თხოვნა. გადაუხადეს თ-დ წერეთელს ფურცელში აღნიშნული თანხა: თითოში ორ-ორი ათასი მანეთი იყო, და ეს ყველაფერი, ჩვეულებისამებრ აცნობეს პეტერბურგში გამგეობას. მხოლოდ მაშინ გამოირკვა სიყალბე, მაგრამ გვიან-ღა იყო.

ამის შემდეგ, რასაკვირველია, კიდევ უფრო დაეცემა ქართველები აქაურების თვალში და თუ აქამდე ასი იყო სამსახურში, ახლა საეჭვოა, ერთიც დარჩეს. და განა ვისაც თავმოყვარეობა აქვს მივა ვინმესთან ადგილის სათხოვნელად? და ეს იმიტომ, რომ რამდენიმე ტალახიანი ადამიანი, მთელ ქართველებს სვრის, სახელს უტეხავს.

რამდენიმე მაგალითი ვიცი, რომ როცა სტუდენტები თხოულობდნენ ადგილს, უარს ეუბნებოდნენ, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ქართველები იყვნენ და, მაშასადამე, არასაიმედო. კვლავ ხომ უარეს ამბავს უნდა მოველოდეთ.

შ.—დიანი.

პ. გელეიშვილის ლექცია გათომში

13 ოქტომბერს შმაევსკის თეატრში ბ-მა გელეიშვილმა წაიკითხა ლექცია „ილია ჭავჭავაძე, როგორც პოეტი და პუბლიცისტი“. ლექციის დაწყებისას მან სთქვა: „ღღეს აქ მეკითხებოდნ-ნ: „ჭავჭავაძე უნდა აქო, თუ აგინოვო“. ღღეს ილია ჭავჭავაძე ისტორიას ეკუთვნის და არა რომელიმე პარტიას, იმიტომ მე შევუდგები ამ თხზულებათა განხილვას და არა ძაგება-ქებასა“... „როცა ი. ჭავჭავაძე სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა, მაშინ ჩვენი მწერლობა წაგავდა სწორედ უდაბნოსა და ილია ჭავჭავაძე ამ უდაბნოში ერთად-ერთი ოაზისი იყო, მაგრამ ამ ოაზისში რომ მეტი წყურვილის მოსაკლავი წყალი ყოფილიყო—რა თქმა უნდა კარგი იქნებოდა“... შეეხო „კაცია ადამიანის“ და „ჩატეხილ ხიდის“ ტიპებს. პირველში გამოყვანილია თავადაზნაურობა—სმა-ჭამაზე გადაგებული — გაუნათლებელი და გაპირუტყვებული, ხოლო მეორეში განათლებული თავადი არჩილი (ამის სახით ილიას თავის თავი ჰყავს გამოყვანილიო) და გლეხი გიორგი. ორთავეს მათ, ილია ჭავჭავაძე ძალაუნებურად ნამუსის ქუდს ჰხურავს... გიორგი, როგორც მონამორჩილი გლეხი და ნამუსის ქუდის მატარებელი ვალდებულია სინდისიერად იმუშაოს თავადის სასარგებლოდ, მიუხედავად იმისა კმაყოფილია იგი თუ არა ამითი. ილია ჭავჭავაძე გლეხთა და თავადთა შორის მუდამ მამაშვილურ განწყობილებას ჰქადაგებდა—ნამდვილად კი ეს ასე არ იყო; გლეხები მუდამ ტანჯვას განიცდიდენ პირველებისაგან. ილია ჭავჭავაძე **მოთმინებას** და **შრომას** უქადაგებდა გლეხებს ამ ტანჯვის ასატანად.. ი. ჭავჭავაძეს უნდოდა იდეური საქართველო შეექმნა და წარსულშიაც მამაშვილურ-განწყობილებას (თავადთა გლეხს შორის) ხედავდა... (აქ მოიყვანა ადგილები „დიმიტრი თავდადებულიდან..“) ნამდვილი არც ეს იყო და დასაღუპ გზას ვადექით, დროზე რომ რუსეთი არ მოგვლენოდა **კულტურა** არ შემოეტანა ჩვენშა და კარჩაკეტულობისაგან არ დაეხსნენით... გლეხების მიწა-წყალიანად განთავისუფლების წინააღმდეგიც იყო ილია ჭავჭავაძეო... ბოლოს შეეხო მის შინაურ ცხოვრებას და **ერთი მუხლი კიდევ მიუმატა** ფ. მახარაძის ცილის-წამებას. რომ ილია შეტად სასტიკი და თავის სიტყვის კაცი იყო—ის უბარათოდ ღალას არ ღებულობდა გლეხებისაგან—ერთხელ ერთმა დუშელმა გლეხმა ურმით ძნა მიუტანა კალოზე—ილიამ ბარათი მოითხოვა მოურავისაგან... გლეხს კი ეს არა ჰქონდა, მაშინ ილიამ გლეხი თავისი ურმით და ხარ-კამეჩით ისევ უკან გააბრუნა—სანამ ბარათს არ მოიტან, მაგას არ მივიღებო...“ და აქ ლექტორმა დაცინვით დაუმატა: „ილიას სურდა გლეხები დახმარებოდნენ მას ბუხგალტერიის წარმოებაშიო-!!... არ დაივიწყა ილიას მოწაფენიც: „მოჰკლეს ილია და მისმა მოწაფეებმა, როგორც, მაგ., ფანცხავამ და სხვ. იგი „სოციალისტად აღიარეს და მის კუბოზე წითელი დროშები ააფრიალესო“....

ლექციას ხალხი ძალიან ბევრი დესწრო, რადგან ამას ხელი შეუწყო აქაურმა „ბათუმის გაზეთმა“ რეკლამით და ბილეთების ხელზე გაყიდვამაც. ხალხზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ლექციამ, უფრო იმიტომ, რომ ლექტორი შეეხო ილიას შინაურ ცხოვრებას, როგორც მებატონისას და არა როგორც ერის გულის მესაიდუმლეს, დიდებულს პოეტს და პუბლიცისტს...

დამსწრე.

მცირეოდენი ამბები

რაჭა. ბევრი წერილი იწერება ქართულ ჟურნალ-გაზეთებში წრევანდელ შიმშილობის შესახებ, მაგრამ საიდანაც უფრო ბევრი უნდა დაწერილიყო ე. ი. რაჭიდან, ერთი კრინტიც არავის დაუძრავს, თიოქოს რაჭა შიმშილობისაგან უზრუნველ-ყოფილი იყოს. მკითხველს კარგად მოეხსენება რაჭის მიწის სივიწროვე. მთელს ძაზრაში ოცი, ოც-და-ათი კოძლი თუ გამოერჩევა ისეთი, რომ კაი მოსავლიან წელიწადს უყიდელი სიმინდით გაძოიკვებოს თავი, თორემ როცა გვალვიანი წელიწადია, მაშინ ხომ ერთი თვის სარჩოც არავის მოუვა. კაცმა სიმართლე უნდა სთქვას, წარსული სამი წელიწადი გვარიანი მოსავლიანი იყო; ასე რომ, სარჩოს ფული ვალად არ დასდებიათ. წელს კი ხანგრძლივმა გვალვამ ხალხი ხელ-ცარიელი დასვა. ივნისსა და ივლისში წვიმის ცვარე არ გადმოვარდნილა; წვიმა მოვიდა აგვისტოს შუა რიცხვებში, მაგრამ გვიანღა იყო, როგორც მკვდარს აიაზმა ვერ გააცოცხლებს, ისე გამხმარი სიმინდი წვიმამ ვეღარ გაანედლა. უტაროოდ ახუხული ყანები ასპრეს, მაგრამ ჩალათაც აღარ ვარგა. გვალვა იმ დროს დაიწყო, როცა პურები მარცვალს იკეთებდა, ხანგრძლივმა გვალვამ პურებიც ატრუსა და მარცვალი მოუთავებელი დარჩა. გვალვიანი წელიწადი ხშირად უნახავს რაჭველს, მაგრამ იგი სასოწარკვეთილებას არ მისცემია, რადგან ორი გროშის შოვნა შეუძლია, და მითი ჰყიდულობს საზრდოს, მაგრამ წრევანდელმა წელიწადმა კი საგონებელში ჩაადგო რაჭველი: ცუდ მოსავლის დროს თუ რაჭველს სიმინდს იმერეთი უგზავნიდა, წელს, როგორც ვიცით, არც იქ ყოფილა კაი წელიწადი. რაღა ღონე უნდა იხმაროს შიმშილის წინააღმდეგ რაჭველმა, აი მწარე ფიქრები, რომელიც გულს უღრღნის ყოველს. სიმინდი კიდევაც რომ სადმე იშოვოს რაჭველმა, მოტანა არ უნდა? ხშირად ოქტომბერში დასდებს ხოლმე თოვლს და აპრილის გასვლამდე გზები შეკრულია. აი ახლავე, ამ შემოდგომაზე, მართებს, ვისაც შესტკივა გული ხალხისთვის, რამე საშუალება გამონახოს შიმშილის წინააღმდეგ.

ვანო ჭიჭინაძე.

ს. არგვეთი (შორაპნის მაზრა.) ფრიად სასურველი მოვლენა მოხდა ს. არგვეთში: ქ-ნ მარიამ იაშვილის თაოსნობით საძირკველი ჩაეყარა ს. არგვეთში განსვენებულ არჩილ ჯორჯაძის სახელობაზე წიგნთსაცავ-სამკითხველოს დაარსებას. 17 აგვისტოს გაიმართა წარმოდგენა განზრახულ საქმის სასარგებლოდ, ითამაშეს „ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე“, წარმოდგენის წინ სტუდ. მიხ. აბრამიშვილმა მოკლე სიტყვით გააცნო დამსწრე საზოგადოებას ქართული თეატრის ისტორია და მისი საზოგადოებრივი აღმზრდელობითი მნიშვნელობა, შემდეგ კი წაიკითხა რეფერატი „ქართულ თანამედროვე პოეზიაზე“. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა ქართული ნადიმი, ნადიმს თამადობდა მგოსანი რუს-იმერელი. ლექსები წაიკითხეს: გუცამ და პ. იაშვილმა. საზოგადოება ნასიამოვნები დარჩა. წმინდა შემოსავალი საღამოსი უდრის 234 მან. 40 კ.

აქვე მადლობას ვუცხადებთ ქ-ნ მარიამ იაშვილისას, ლუბა და ვერა აბრამიშვილებს, ვერიჩა მაჭავარიანისას, თამარ კურცხალიასას და ყველა იმ პირს, რომელმაც თავისი წვლილი შეიტანა ფრიად სიმპატიურ საქმეში.

არგვეთელი.

ქიზიყი. წრევანდელისთანა უხეირო და უბარაქო მოუსავლიანი წელიწადი ბევრი არ ახსოვთ ქიზიყელთ. ყველამ კარგად იცის, რომ გაზაფხულს აქეთ ქიზიყში ხეირიანი წვიმა არ მოსულა, ზამთარშიაც ხომ რიგიანი თოვლი არა ჰლირსებია ქიზიყს. ყველა ამის მიზეზით, არა თუ მოსავალი იყო ძლიერ ნაკლები, მინდორში საქონლის საკვები ბალახიც სრულებით არ მოვიდა.

ეს გარემოება კი დამაღონებელი და სავალალოა, რადგან ადამიანის საზრდოს უქონლობას ზედ ერთვის საქონლის საკვების სიძვირე.

ამიტომ წელს ხვნა-თესვა გაძნელებულია: შინ საბძლებში, რომ ჰქონდეთ შენახული საქონლის წლის საკვები, ურმებით გაიტანდნენ მინდორში და იქ დამ-ღამობით მაინც გააძღობდნენ დღისით შრომისაგან ქანცგამოლეულ საქონელს, მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ საშინდვროდ წასაღები ბზე და თივა არსად გახლავთ.

საცოდავად დაბღავის ჰირუტყვი და პატრონები იძულებულნი არიან გაძვალტყავებული საქონელი ნაკლებ ამუშაონ.

ეს გარემოებაც რომ არ იყოს, წრევანდელმა წელიწადმა გული გაუტეხა ქიზიყელთ, რადგან თაგვი არ ეხსნება მინდორს: „თუ რაიმე ჯეჯილი მოვა ნახნავებში, გაზაფხულზევე თაგვი მოსჭამსო,—გაიძახიან ჩვენებურები,—რაღა გულით მოვხნათ და დავთესოთო“.

საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციონ, ვისიც ჯერ არს, თორემ თუ მერმისაც ესეთი მოუსავლიანი წელიწადი მობრუნდა და ქიზიყელთათვის და მოსავალი კიდევ თაგვმა გაატიალა, შენი მტერი, ქიზიყის მცხოვრებნი წყალს გაჰყვნენ.

უბალახობისა გამო ცხვარიც შეწუხებულია.

გვალვის გამო წელს ღვინის მოსავალიც ნაკლები იყო ქიზიყში და თუ იყო რამ ყურძნის მოსავალი, მარცვალი გამოფიტული იყო და გამოსავალი არა ჰქონდა რა.

X.

უცხოეთი

ბერძენთა და ოსმალთა მოლაპარაკება.

საეკლესიო მამულების შესახებ ოსმალებისა და ბერძნების დელეგატების შორის შეთანხმება მოხდა. საეკლესიო მამულების უფრაკი ქონება საბერძნეთის მფლობელობაში გადასულ ოლქებში, რომელნიც ასეთად ითვლებოდა დიპლომატიურ დამოკიდებულების შეწყვეტამდე წარსული წლის ოქტომბერში. მოისპო ამ მამულებზე ათი პროცენტის გაწერა ოსმალეთის დაწესებულებათა სასარგებლოდ; მხოლოდ საბერძნეთის მთავრობა მოვალეა ფულით დახმარება გაუწიოს მაჰმადიანთა უსაღსრო სკოლებს, მეჩეთებს და სხვა რელიგიოზურ დაწესებულებებს. იმ საქველმოქმედო საზოგადოებათა საქმეების მართვა-გამგებლობა, რომელნიც სავაკუფო მიწების შემოსავლის პროცენტებით სარგებლობდნენ, გადადის საგანგებოდ არჩეულ მაჰმადიანთა „ობშჩინების“ წარმომადგენლების ხელში, საბერძნეთის მთავრობის მეთვალყურეობით. მაჰმადიანთათვის წმინდა ადგილები ხელუხლებელი რჩება. ეს შეთანხმება უნდა მოეწონებინა ოსმალეთის მთავრობას, მაგრამ უკანასკნელმა უარი განაცხადა კომისიის გადაწყვეტილების დამტკიცებაზე.

რუსის სტუდენტების დევნა.

პრაგაში არსებულ ჩეხების უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტის დეკანმა იანოშეკმა არ ჩარიცხა სტუდენტთა რიცხვში 100 რუსეთის ქვეშევრდომი სტუდენტი ებრაელი. თვისი განკარგულება დეკანმა იმით დაასაბუთა, რომ მათ მოწმობებში არ აქვთ ნიშნები საღვთო სჯულისა.

გაზეთ „Cas“-ში ცნობილი სოციოლოგი მასარიკი იანოშეკისაგან განმარტებას მოითხოვს.

რუსეთი

ოქტომბრისტების თათბირი მოსკოვში.

17 ოქტომბერს მოსკოვში მოხდა ოქტომბრისტების თათბირი. თავმჯდომარეობდა ა. გუჩკოვი. კრებას დაესწრო 60 კაცი, სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენელი. გუჩკოვმა კრების გახსნისას სიტყვა წარმოსთქვა, დღევანდელი პოლიტიკური მომენტი დაახასიათა და ოქტომბრისტების სამოქმედო პროგრამა აღნიშნა. მესამე სათათბიროში შეიძლებოდა ნაციონალისტებთან ერთად მუშაობაო,—სთქვა გუჩკოვმა,—მაგრამ მეოთხეში რაიმე შეთანხმებაზე ფიქრი შეუძლებელიაო. ნაციონალისტებმა ბუნებრივად შესწყვიტეს ოქტომბრისტებთან კავშირიო. კიევში ნაციონალისტებს მოლაპარაკება ჰქონიათ ოქტომბრისტებთან, მაგრამ უშედეგოდ. უფრო ხელსაყრელია პროგრესისტებთან და კადეტებთან შეთანხმება, მხოლოდ რამდენადმე და არა ყველაფერშიო. გუჩკოვის სიტყვით, ქვეყანა გამემარცხენდა, მაგრამ რევოლიუცია ისე საშიში არ არის, როგორც რეაქციაო. ყველა საკითხს, ოქტომბრისტების მოქმედებას რომ შეეხება, ოქტომბრისტების მომავალი კრება გადასწყვეტს. კრება პეტერბურგში გაიმართება 7 ნოემბერსო“. ცენტრალურ კომიტეტის წევრმა შეაქო გუჩკოვის მოქმედება კიევში ქალაქის წარმომადგენელთა კრებაზე. ყველაფერი შესაძლებელია კურთხეულ რუსეთში: გუშინდელი ყვავები დღეს შოშიას ხმაზე ჰგალობენ. მაშ, არც ისე უნდგებშო ყოფილა საქმე, თუ ოქტომბრისტებიც ასე ალაპარაკდნენ.

შულგინის საქმე.

ბეილისის საქმის გამო სამართალში მისცეს დეპუტატი შულგინი „კიევლიანინის“ რედაქტორი. საქმე სწრაფად სწარმოებს, გამოძიება განსაკუთრებული საქმეთა გამომძიებელს ნოვოსელეცკის მიენდო, რომელმაც უარი სთქვა; ეხლა გამომძიებელი პურიკი იძიებს. პურიკს უკვე დაუბარებია შულგინი და კითხვები მიუცია. შულგინს თავი დამნაშავედ არ უცვნია და უთქვამს: არავითარი დოკუმენტები არ მომეპოვებაო. ეს სიტყვები შულგინისა ოქმში შეუტანიათ. ამბობენ, შულგინს გამოძიებლისთვის არ გადაუცია დოკუმენტები, რადგან „იმათი დაკარგვისა ეშინოდა“-ო. მითქმა-მოთქმაა: შულიგინს სენსაციონური მასალები აქვს ბეილისის საქმეზე, რომელიც მას განსვენებულ პიხნოსაგან დარჩაო.

ბეილისის საქმის გარშემო.

ევროპის გამოჩენილმა ავტორიტეტებმა: მეცნიერებმა, სასულიერო უმაღლესმა პირებმა გამოსთქვეს თავიანთი აზრი რიტუალური მკვლე-

ლობის თაობაზე და დაჰგმეს იგი, ზღაპრად აღიარეს.

ბეილისის დამცველებს აუარებელი თანაგრძნობის წერილები ტ დეპეშები მისდით. ლ. ანდრეევმა და რუსის გამოჩენილმა მხატვარმა რეპინმა დამცველებს გამამხნევებელი დეპეშა გაუგზავნეს.

კრიმინალისტების კრება.

1914 წლის დამდეგს პეტერბურგში გაიმართება კრიმინალისტების კრება, სადაც რამდენიმე მოხსენებას წაიკითხავენ ეხლანდელი მომენტის საკითხებზე.

დამცველ პოლიციის რევიზია.

რადგან მოსკოვის დამცველ პოლიციის რევიზიის დროს ბევრი უწესრიგობა აღმოჩნდა ამ დაწესებულებაში, შინაგან საქმეთა მინისტრმა პეტერბურგის დამცველ პოლიციის რევიზია დანიშნა. რევიზორად პოლიციის ვიცე-დირექტორი ლერხე, დიდრიხსი და გუბონინი დანიშნეს. ამათ მიეშველება ჟანდარმის სამი ოფიცერი. რევიზიაში მონაწილეობას მიიღებს შტაბის ოფიცერი პისკუნოვი.

მოხსენების აკრძალვა.

დეპუტატ კერენსკის ნება არ მისცეს მეოთხე სათათბიროს მოქმედების თაობაზე მოხსენება წაეკითხა.

ს. დ. კონფერენცია.

საზღვარ-გარედ ს. დ. მეუმრავლესთა ფრაქციის კონფერენცია მოხდა, რომელსაც 22 კაცი დაესწრო რუსეთის სხვადასხვა მხრის წარმომადგენელი. დადგენილებათა უმრავლესობა შტუტჰარტის და ლონდონის კონფერენციისას ეთანაბრება. სათათბიროს ფრაქციის მოქმედების თაობაზე კონფერენციამ დაადგინა: 1) როდესაც კანონ-პროექტები თუ ფორმულები მუშათა, მდაბალ მოსამსახურეთა პირობების გაუმჯობესებას შეეხება, ფრაქციამ მხარი უნდა დაუჭიროს ყველა მუხლს. 2) დიდი კახონ-პროექტების დროს თავისი ფორმულა უნდა წარადგინოს, თუ საკუთარი ფორმულა უარყოფილ იქნება, მაშინ ფრაქცია სხვა პარტიებს მისცემს ხმას, ხოლო უნდა აღინიშნოს „ოტვი, რომლითაც ხელიძღვანელობს ს. დ. ფრაქცია. ასეთი ძარის დაპერა სხვა ფრაქციისადმი საჭიროა მაშინ, როდესაც ფორმულა, რომელსაც ს. დ. ხარს დაუჭერენ, მთავრობის საწინააღმდეგო იქნება.

ᲓᲔᲙᲐᲜᲘᲡ ᲬᲘᲠᲘ

(დეპეშათა აკტეობ. სააგენტოსაგან).

17 ოქტომბერი.

ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘ.

სტამბოლი. ჯავიდ-ბეი ვენასა და ბერლინს გაემგზავრა მოსალაპარაკებლად ფიხახსიურ საკითხების თაობაზე.

მთავრობის წრეებში ამბობენ, გერმანია დასთანხმდა ოსმალეთში სამხედრო მისიის გაგზავნას, თუ გერმახელ ინსტრუქტორებს საბერძნეთში მყოფ ფრანგ ინსტრუქტორების თანაბარი უფლება ექნებათო. ამბობენ 10 დღეში საბერძნეთთან შეთანხმება ნოტდება და დარდანელიდან ნაღმებს ამოიღებენო.

ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘ.

ბელგრადი. 14 ოქტომბერს ალბანელეთა ჟახდარმის პატრულებს ესროლეს.

ᲠᲔᲘᲛᲡᲘ.

რეიმსი. არტილერიის ფელდფებელი ჩამოვარდა ასი მეტრის სიმაღლიდან და მოკვდა.

ᲕᲔᲜᲐ.

ვენა. სბიუჯეტო მცირე კომისია გახანგრძლივებს ეიგრაციის საქმის გამოძიებას. ვაჭრობის მინისტრმა განაცხადა, ნავთ-სადგურ ტრესტის და ეიგრანტების ინტერესების დასაცავად თუ ჰქოხდა ძოლაპარაკება მთავრობას „კახადიენ პასიფიკ“-თან, თორემ სხვა არავითარი კავშირი არა ჰქონია მთავრობასო, არც ფული მიგვიღია საზოგადოებისაგანაო. შინაგან საქმეთა მინისტრმა აცნობა კომისიას: საზოგადოებამ ფული შეაძლია პოლიციას ბოროტმოქმედების კვალის ასაბნევად და მოხსენებების ასლის მიცემისთვისო.

მთავრობამ ძიიღო კანონ-პროექტი მაგარ სასმელებზე გადასახადის დაწესების თაობაზე.

თეირანი. რუსის ელჩის ცემის გამო რუსეთის მისიამ პროტესტი განაცხადა. ბახტიარებმა ბოდიში მოიხადეს, ყაზახს ცხენის საფასად 400 თუმანი აისცეს და დანაშაული დასჯეს.

ᲠᲝᲛᲘ.

რომი. აირჩიეს 237 დეპუტატი მთავრობის მომხრე, 52 რადიკალი, 19 კონსტიტუციონერი, 27 კათოლიკე, 11 რესპუბლიკელი, 39 სოციალისტი ტ 19 სოციალისტი-რეფორმატორი.

ᲨᲕᲔᲪᲐᲠᲘᲐ.

შვეიცარია. რადგან ლანდტაგმა კონსტიტუციის კანონ-პროექტი უარჰყო, ყველა მინისტრი გადადგა.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ.

ლონდონი. შტურმანების გაფიცვა დასრულდა. გემები დილით გავლენ ზღვაში. გაზეთების სიტყვით, ახალ ჯავშნოსანთა გამოსაცდელად პორტლანდში დაჰხვრიტეს ძველი ჯავშნოსანი „ემპრეს-ოფ-ინდიაᲐ“.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ.

ვარშავა. სადგურ ვარშავა-კოველსკიზე მატარებლები ერთმანეთს დაეჯახა; მოკლულია 7 კაცი, დაჭრილია 37.

იხსნება სასამართლო მცირე წლოვანთათვის.

მინსკი. სამოსამართლო პალატამ 1905 წელს არეულობისთვის, რომლის დროსაც გლეხებმა აქციზის მოხელეებს იარაღით წინააღმდეგობა გაუწიეს. მიუსაჯა: ოთხს ათ-ათი თვის ციხე და უფლების ჩამორთმევა, ხუთს ნაკლები სასჯელი და ათიც სრულიად გაამართლა.

ᲚᲘᲒᲐᲩᲝᲕᲘ.

ლიგაჩოვი. პირლიცკის ბანკის გამცარცველნი კავკასიელები დაიჭირეს.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ.

მოსკოვი. ათი გუბერნიის ეროვნათა წარმომადგენლების კრებამ სასურველად სცნო სამაგალითო სამეურნეო სადგურის აგება, რომელსაც 32 ათასი მან. მოუნდება, რომლის თვალყურის დევნებაც მოსკოვის ერობას დაეკისრა.

ᲰᲔᲚᲡᲘᲜᲒᲤᲝᲠᲡᲘ.

ჰელსინგფორსი. ბოროტ-გამზრახველებმა მართლმადიდებელი ეკლესიის გაცარცვა მოინდომეს, მაგრამ ფული ვერ აღმოაჩინეს და მიიმალნენ.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ.

პეტერბურგი. საარტილერიო მოედანზე აფეთქდა ყუმბარა, დაიკრა შტაბს-კაპიტანი კუშაკევიჩი და 7 ჯარის-კაცი.

19 ოქტომბრიდან შემოღებული იქნება ახალი ფასი იტალიაში გასაგზავნ დეპეშაზე—ერთი სიტყვა 13 კაპეიკი ღირება, ხოლო დეპეშა ავსტრიისა და გერმანიის გზით უნდა გაიგზავნოს. შავი ზღვის გზით კი ტარიფი 17 კაპ. სიტყვაზე უცვლელად რჩება.

პეტერბურგის ოლქის სასამართლომ გაზ. „ლუჩის“ რედაქტორს გრიგორიევს 8 თვის ციხე მიუსაჯა გაფიცვებისადმი მოწოდებისთვის.

შინაგან საქმეთა სამინისტრო მოკლე დროში სათათბიროში შეიტანს კანონ-პროექტს პოლონეთში და ხოლმის გუბერნიაში სერვიტუტების შეცვლის თაობაზე.

სათათბიროს წარედგინა ბეკდვითი სიტყვის კანონ-პროექტი, და სავალდებულო უფლების პროექტი, ალბანეთში საკონსულოს დაარსების თაობაზე და სამოქალაქო წესდების მეხუთე წიგნის პროექტი.

ᲨᲐᲕᲘ ᲭᲘᲠᲘ.

ცარიცინი. ჩამოვიდა ზაბოლოტნი და სოფელ ლიაპჩევოს გაემგზავრა შავი ჭირის წინააღმდეგ ღონისძიების მისაღებად.

ᲜᲝᲕᲒᲝᲩᲔᲠᲙᲐᲡᲘ.

ნოვოჩერკასკი. ხუტორ კალაჩში შავმა ჭირმა მოკლა 2 კაცი, გრომოსლავში—ორი. პეტროვკაში ავად არავინ გამხდარა. გრომოსლავკაში 9 სახლი გამოჰყვეს.

პეტერბურგიდან ჩამოსულ მთავარ საექიმო გაძგეობის ინსპექტორის თანამშემწის შიდტის თავმჯდომარეობით შესდგა კრება შავი ჭირის წინააღმდეგ ღონისძიებების შესამუშავებლად.

ᲑᲔᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ.

ექსპერტების პასუხი.

კიევი. კოსოროტოვი აცხადებს: ექსპერტების აზრი პირველ ცამეტ კითხვის თაობაზე გაიყო: ერთი აზრისანი არიან კოსოროტოვი და ტუფანოვი, ხოლო მეორესი—პავლოვი და კადიანი. კოსოროტოვის და ტუფანოვის აზრი შემდეგია: 1) საზოგადოდ ყველა ქრილობები სიცოცხლის დროისა არის, ზოგი გულის სრული მუშაობის დროს, ზოგი გულის დასუსტების დროს, ხოლო ერთიც სიკვდილის შემდეგ. 2) გულის ერთმა ქრილობამ უსათუოდ სიკვდილი გამოიწვია. 3) ყველა ქრილობა და ყელში ხელის წაჭერამ გამოიწვია სიკვდილი. 4) პირველი ქრილობები თავსა და კისერზეა, დანარჩენი რამდენიმე ხნის შემდეგ ყოფილა დაჩნეული. პირველი ქრილობა კეფაშია მიცემული, ქუდს ზევიდან, დანარჩენი ქრილობების დროს ქუდი ალბად, ალარ ეხურა; ყველა ქრილობა, გარდა ერთისა და ძალიან მძიმე ქრილობისა, ბოლოხდელია და მსუბუქი. პირველ ქრილობასა და უკანასკნელს შორის 15 წუთი გასულა. 5) სადგისი მეხუთე ნომერი, რომელიც ტუფანოვის განკარგულებით ბაზარში იყიდეს საცდელად, ისეთივე გადატეხილი და გამახვილებული უნდა ყოფილიყო, რომლითაც შესაძლებელია იუშჩინსკი დაეჭრათ, თუმცა ისიც შეიძლება, რომ ჭრილობა სხვა იარაღითაც მიეყენებინოთ, 6) მკვლელობაში მონაწილეობას იღებდა არა ნაკლებ ორი კაცისა, 7) პირველმა ჭრილობამ, უეჭველია, დიდი ტანჯვა გამოიწვია, 8) იუშჩინსკის გამოაცალეს 5 ჭიქა სისხლი დაახლოებით, ტანისამოსზე ძალიან მცირე სისხლი დარჩა. 9) ორი საშუალება უხმარნიათ: ჭრილობა და ყელში ხელის წაჭერა. უკანასკნელი არ შეიძლება ყოფილიყოს სიკვდილის გამომწვევი, ხოლო სისხლისაგან დაცლა შეიძლება გამოეწვია. 10) როგელი ჭრილობიდან გამოდიოდა სისხლი, და რომელი ჭრილობიდან უფრო ადვილია სისხლის გამოტანა, პასუხის მიცემა ძნელია. მარცხენა საფეთქლიდან სისხლი კამარად გადმოსწდებოდა, ხოლო კეფიდან კი ბევრი სისხლი გადმოვიდოდა. კოსოროტოვი დიდ მნიშვნელობას აძლევს კისრის ჭრილობებს, რადგან ბევრი სისხლის დაცლა შეიძლებოდა აქედან, მაგრამ კისრის ჭრილობები გვამის გაჭრის დროს არ აყოლ საკმაოდ გამოკვლეულიო. მეთერთმეტე და მეთორმეტე კითხვები შეაერთეს და ამ კითხვების თაობაზე ექსპერტები ერთხმად აღნიშნავენ. მკვლელებს განსაკუთრებული ცოდნა ანატომიისა არა ჰქონიათო, კოსოროტოვი დასძენს, საქმე ის კი არ არის, როგორ მოახერხეს, არამედ ის, რომ ბევრი სისხლი გამოიღესო. 13) კოსოროტოვი და ტუფანოვი ამტკიცებენ, რომ მკვლელობის გეგმაში სისხლის შოვნა შედიოდა, რადგან კაცის ასე დასახჩრება შეუძლებელია სხვა მიზნითაო. 15) ხელები სიკვდილის შემდეგ არის შეკრულიო. 16) საჭმელის მიღებიდან სიკვდილამდე დაახლოებით ოთხი საათი გავიდა. 17) სიკვდილი მღვიმეში არ მომხდარა, რადგან მღვიმე ვიწროა და იქ არც სისხლის ნიშნებია. ზედა ტანისამოსზე და საცვალზე რომ თიხა აღმოჩნდა, ზოგან სისხლიანია. ზოგან არა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მკვლელობა თიხიან ადგილას მომხდარა. რადგან იუშჩინსკის თავზე ქუდი ეხურა ჭრილობის დროს, და რაკი სახლში ქუდს არ ატარებენ, საფიქრებელია მკვლელობა სახლს გარეშე მომხდარიყოს 18) გვამი მღვიმეში სისხლის გახმობის შემდეგ უნდა იყვეს გადატანილი, სისხლი შრეზე უჭაერო ადგილას დაახლოებით 12 საათში. 19) გვამის გაშეშება იწყება პირველ ექვს საათში, მთავრდება დღე-ღამის განმავლობაში. გვამი იხრწნება მესამე დღეს, ხოლო ამინდის მიხედვით შეიძლება გაშეშება დიდხანს გაგრძელდეს. 20) უნდა ვიფიქროთ, რომ გვამი გაშეშების დროს გადაუტანიათ. 21) გვამი გაბანეს თუ არა, საკმაო საბუთები არ არის 22) ეს კითხვა დანარჩენ კითხვებთან არის დაკავშირებული. 25) სისხლიანი თიხა ზედა ტახსაცმელზე მკვლელობის ადგილისაა.

ათავებს რა თავის მოხსენებას, კოსოროტოვი აღნიშნავს, რომ მე-14 კითხვიდან ექსპერტების დასკვნანი ერთგვარია. ბრალმდებლის კითხვაზე უპასუხებს, რომ ჭრილობების მიღების დროს იუშჩინსკი უნდა მდგარიყოს, ცოტა გვერდზე უნდა ყოფილიყოს გადაწოლილი; ტანისამოსზე, არტერიიდან ამოხეთქილი სისხლის წინწკლებია, ტანისამოსი გახდილი აქვს სეფეთქელში ჭრილობების მიღების შემდეგ. გვამზე ნაპოვნი წვერის სამი თმა ეკუთვნის ხუკუტ გძელ-წვერა კაცს. კარაჩევსკის შეკითხვაზე კოსოროტოვი უსნის, რომ ქარხნიდან წამოღებული სადგისებით ამ ხასიათის ჭრილობების მიცემა არ შეიძლება, მაგრამ შესაძლო იქნება მაშინ, თუ წელს წაუქლიბავდნენ ისე, როგორც ეს № 5 სადგისსო. ტუფანოვი ამტკიცებს თავის სრულს თანხმობას კოსოროტოვის ნათქვამზე. როდესაც თიხის გამოკვლევის შესახებ ჰკითხეს, ტუფანოვმა უჩვენა, რამ გამოიწვია მისი ორგანიული თვისება და ნახა, რომ ორი ნიმუში ქარხანაში აღებული სრულიად განსხვავდება გვამის საცვლებზე მყოფ თიხიდგან; ექვსი ნიმუშიდან, რომელიც გაკოცეიგეულს მაშკევიჩს აუღია, ერთი, რომელიც აღებულია ბეილისის ბინის აივანთან რამდენადმე წააგავს მოკლულის ტანისამოსზე ნაცხებ თიხის, მხოლოდ შიგ კირი ურევია.

პავლოვი ეხება კოსოროტოვის და ტუფანოვის და თავისი აზრების განსხვავებას და უჩვენებს, რომ ისა და კადიანი ცოცხალ ადამიანებზე მუშაობენ, სასამართლო მედიცინის პროფესორებს კი დამოკიდებულება აქვთ მხოლოდ სიკვდილ შემდეგ მოვლენებთან ანატომიურ თეატრში. ემყარება რა თავის დოსტოქრულ გამოცდილებას, პავლოვი შეუძლოთა ხედავს დაამტკიცოს, სიცოცხლის დროს მიიღო თუ არა იუშჩინსკიმ ყველა ჭრილობა, ან დაადასტუროს, რომელი ჭრილობა აქვს მიღებული სიცოცხლის დროს და რომელი შემდეგ. ექსპერტების ხელში ძალიან მცირე მასალა იყო, თითქმის სრულებით არ იყო კითხვების გამოსარკვევი საჭირო ანატომიური ცნობები, პირველსა და მეორე ოქმის შუა წინააღმდეგობაა; პირველ ოქმში მხოლოდ გარეგნული აღწერაა, ნაჩვენები არ არის ჭრილობის სიღრმე, დასახელებული არ არის სისხლის გაჭრილი ძარღვები. პავლოვი ყველა ჭრილობას საშიშრად სთვლის, მაგრამ არც ერთი ინათგანი კი არ მიიჩნია სასიკვდილოდ. მხოლოდ ერთად შეეძლოთ ამ ჭრილობებს გამოეწვიათ სიკვდილიო. რაც შეეხება ჭრილობების ხასიათს, იგი ამბობს, რომ ნაჩხვლეტი ჭრილობა ყოველთვის საშიშია, რადგანაც შიგნიდან სისხლით დაცლას იწვევს, ტ სწორედ ამიტომ ნაჩხვლეტი ჭრილობა სისხლის მისაღებად ცუდი საშუალებაა. თუ რამდენად დაიცალა სისხლიდან მიცვალებული, ამისი თქმა შეუძლებელია, რადგანაც პირველ გაჭრის დროს მთელი რიგი შეცდომებისა იყო ჩადენილი. კოსოროტოვის აზრის წინააღმდეგ, პავლოვი ამბობს, რომ პირზე ხელის მოჭერით დახრჩობა არ შეიძ ება, რადგანაც ნაჩვენები არ არის ამავე დროს ცხვირზედაც მოუჭირეს ხელი თუ არა; სასუნთქი ადგილები დაშავებული არ არის. პავლოვის აზრით შეიძლება პირზე ხელი დააფარეს, რომ არ დაეყვირა. ტანჯვის შესახებ პავლოვი უპასუხებს, რომ ეს შემეცნება გაურკვეველია; შიში, წინააღმდეგობა, აღელვება ტკივილის გრძნობას ამცირებენ; არც ერთს ჭრილობას არ შეგვიძლიან უწოდოთ უფრო მგრძნობიარე; მთელი სისხლიდან დაცლაზე ლაპარაკი ძნელია. რომ კეფიდან სისხლის მდინარეობა მიეღოთ, უნდა მსხვერპლი თავდაყირა დაეჭიროთ. ჭრილობების სიმრავლე სასურველს პირობებს არ იძლევა სისხლის შესაკრებად; მკვლელებს უნდოდათ იუშჩინსკის წვალება და სისხლიდან დაცლა—ეს კითხვა ხალხის ყოფაცხოვრებას ეკუთვნის, და დოსტოქარს არ შეუძლიან მისი გადაწყვეტა. იმათ უნდოდათ—მოეკლათ; პირველად თავში დასჭრეს, მაგრამ რადგანაც მსხვერპლი კიდევ ცოცხალი იყო, იმისთვის უნდა ბოლო მოეღოთ. ყოველ შემთხვევაში პავლოვი დამნაშავეთა გონივრულ მოქმედების უარსა ჰყოფს.

ექსპერტების მიერ თავიანთი დასკვნის მიცემის დროს აჩვენებენ გასისხლიანებულ პერანგს, ტუჟურკას, ქუდს, მოკლულის თავის ქალას, სადგისებს. შმაკოვი სთხოვს ოქმში შეიტანონ, რომ პავლოვმა, როცა იგი გვერდში ნაჩხვლეტებზე ლაპარაკობდა, სთქვა, რომ საჯდომის დაჭრა — სახუმარო, უტანჯველი იყო; ამასთანავე რომ ანდრიუშა ძალიან ბევრი ხანი ფართხალებდა, და უნდა ბოლო მოეღოთ ჩქარა. სასამართლო ამბობს, რომ ეგ აზრი პავლოვს არ გამოუთქვამსო. კარაბჩევსკის კითხვაზე პავლოვი უხსნის, რომ სისხლის გამოსაღებად საკმარისია მხოლოდ ერთი ძარღვის გაჭრა. გვამს კისერზე შესამჩნევი შინაგანი სისხლ-ჩაქცევა აქვს, მკვლელობა იყო მკაცრი, მხეცური. ბრალმდებლის კითხვაზე პავლოვი უპასუხებს, რომ ტვინში ჭრილობის მიღებას მოჰყვებოდა გონების დაკარგვა და გრძნობიერობის შემცირება, რომელიც სისხლიდან დაცლის დროს სრულიად განქარდებოდა; მწვალებეთა მიზანი, ალბად, მკვლელობა იყო. რადგანაც ანდრიუშას წონა არ ვიცით, ამიტომ შეუძლებელია დავადგინოთ სისხლის რაოდენობა მის ტანში.

პავლოვი თავის მდგომარეობას ასახელებს, საზოგადოების თვალში რომ უჭირავს. ზამისლოვსკი ეკითხება, რა ადგილი გიჭერიათო. პავლოვი კითხვას, ეგზამენად სთვლის და ამბობს: ლეიბ-ხირურგი, 17 წელიწადია ტოპოგრაფიულ ანატომიის პროფესორი ვარ, უფროსი ექიმი სამხედრო ჰოსპიტალისა, სამეცნიერო საზოგადოებათა წევრი. ზამისლოვსკი ეკითხება პავლოვს, რატომ იყო პირველად კოსოროტოვს დეთანხმეთ, მკვლელობა სახლში არ არის მომხდარიო და ეხლა უარ-ჰყოფთ, შეუძლებელიაო. პავლოვი: გუშინ დაქანცული ვიყავი, დავისვენე ვიფიქრე და აზრი შევიცვალე. ზამისლოვსკი: პირველად სრული თანხმობა, დამატებითი ცნობების შემდეგ აზრის შეცვლა! პავლოვი: თქვენც გამოიცვლით აზრს. ზამისლოვსკი სთხოვს თავმჯდომარეს დაიფაროს ექსპერტის უდიერი პასუხისაგან და აუხსნას ექსპერტს, რომ ვალდებულია კითხვებზე პასუხი და შენიშვნები აძლიოს. თავმჯდომარე შენიშვნას აძლევს ზამისლოვსკის განცხადების [illegible] კილოს გამო. შემდეგ პავლოვი ამბობს, შეიძლებოდა ჯერ გაუმშრალი სისხლი ზედა საცმელზე მღვიმეშიაც თიხას შერეოდა.

კადიანი დიდხანს შეჩერდება კოსოროტოვის მუხლების თაობაზე და ამბობს, იუშჩინსკიმ დაჭკარგა გრძნობა თავის მარცხენა მხრით დაჭრის შემდეგ, ხოლო არ შეუძლიან დაადასტუროს, ეს პირველი ჭრილობა იყვესო. შესაძლებელია პირველი ჭრილობა იყვესო. შესაძლებელია პირველი ჭრილობა კისრისა იყო, რადგან სისხლი აქედან ძალიან ბევრია გამოცლილიო. ჭრილობები უთუოდ დასტანჯავდა, ხოლო სისხლისაგან თანდათან დაცლის გამო ტკივილებს შეასუსტებდა. ბევრი სისხლის დაცლას კადიანი არ უარჰყოფს, მაგრამ (?) ძალით ამტკიცებს მკვლელებს ძიზნად არ ჰქონიათ, რაც შეიძლება მეტი სისხლი გამოეცალნათ: ეს ჭრილობისაგან არ სჩანს, თავიდან არც ბევრი სისხლის გამოდენა შეიძლება, ამისთვის უფრო ხელსაყრელი მარცხენა საფეთქელია. არ შეიძლება მკვლელობის გეგმაზე ლაპარაკი. პირველად ძლიერ დაურტყამთ, ხოლო შემდეგ შეუსუსტებიათ. დამცველებს უპასუხებს, სისხლის მოსაგროვებლად საჭირო იყო ჭრილობის ადგილები დაეჭრათ; არც იმის თქმა შეიძლება, რომ ბავშვი გადაებრუნებიოთ სისხლის გამოსაცალელად. სადგისი ძალიან სუსტი იარაღია სასიკვდილოდ. ძნელია თქმა, რომ მკვლელობა ისეთს ადგილას მოხდა, სადაც თიხა არ იყო. ბრალმდებელს და შმაკოვს უპასუხებს, არ ყოფილა ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ სისხლის საშოვნად ჭრილობების დროს ბავში უნდა დაეჭრათ და არა დაეჩხვლიტათო. გრუზენბერგი აღნიშნავს, 22 მარტის ოქმში ნათქვამია 18 ჭრილობა იყო, ხოლო მეორე ოქმში ჭრილობის რიცხვი არ არის აღნიშნული. ზამისლოვსკი; დათვალეთ და 13 გამოვა, გრუზენბერგი: სად დავთვალოთ? თავის ქალაზე? თავმჯდომარე ორივეს შენიშვნას აძლევს კინკლაობისთვის და წინადადებას აძლევს ტუფანოვს, გაუგებრობა გააშუქოს. გრუზენბერგი: ექსპერტი მოწმე არ არის. ბრალმდებელი მოითხოვს, ექსპერტმა ახსნას გაუგებრობა. კადიანი: ზოგი ჭრილობას 13-ად ითვლიდა, ზოგიც 14-ადო.

რედაქტორი ა. ᲨᲣᲛᲑᲐᲫᲔ.
გამომცემელი ა. ᲯᲐᲯᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲕᲐᲠᲓᲘᲡ ᲤᲔᲠᲘ ᲑᲠᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲞᲝᲜᲘ.

ᲐᲤᲘᲠᲘ 25 Კ.
Мешль. 357961.
1506 პარფიუმერია კელნი, რიგა.

ᲔᲥᲘᲛᲘ ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘᲡ
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲔᲠᲫᲝ
ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ, ᲒᲐᲠᲓᲐ ᲙᲒᲐᲠᲘᲨᲐ.
ᲓᲘᲚᲘᲗ:
„606“ ᲓᲐ „914“
11—12 Ს. ᲨᲔᲨᲮᲐᲞᲣᲜᲔᲑᲐ
ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲣᲠᲐᲓ.
Ბ. Ა. ᲜᲐᲒᲐᲑᲘᲜᲘᲜᲘ: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავადმყ.
Ბ. Გ. ᲐᲒᲐᲑᲘᲠᲝᲕᲘ: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
Ქ. Მ. ᲩᲘᲚᲝᲕᲐᲜᲘ: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ხერვებისა.
Თ. Ა. ᲑᲐᲑᲐᲜᲘᲜᲘᲜᲝᲕᲘ: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
Ნ. ᲢᲐ. ᲨᲣᲚᲘᲜᲘ: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
Მ. Გ. ᲐᲕᲔᲢᲘᲡᲘᲐᲜᲪᲘ: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
Ა. ᲞᲐ. ᲙᲐᲠᲐᲑᲩᲔᲕᲡᲙᲘᲐᲜᲪᲘ: 12—1 ს. შინაგანი ავადმყოფ. და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი Ო. Გ. ᲢᲔᲠ-ᲓᲐᲕᲐᲓᲝᲕᲐ 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
Კ. ᲓᲔ. ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ. 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერიოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.
ᲡᲐᲚᲐᲛᲝᲗᲘ:
Მ. Გ. ᲐᲕᲔᲢᲘᲡᲘᲐᲜᲪᲘ: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კოსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის ექტორი Ბ. Ა. ᲜᲐᲒᲐᲑᲘᲜᲘᲜᲘ.
1004

მივიღეთ საყინულე-მატარებლით
ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲓᲐᲜ
თევზის მრეწველნი
ᲫᲛ.
ᲫᲔᲒᲕᲔᲚᲝᲕᲔᲑᲘ.
ᲞᲣᲨᲙᲘᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ᲡᲐᲙᲣᲗ. ᲡᲐᲮ. № 9.
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 712.
ᲐᲛᲣᲠᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲮᲘᲖᲘᲚᲐᲚᲐ |ᲙᲔᲢᲠᲝᲕᲘ|, ᲡᲘᲒᲘ, ᲓᲕᲘᲜᲘᲡ ᲝᲠᲐᲒᲣᲚᲘ, ᲒᲠᲣᲖᲓᲘ, ᲑᲠᲣᲡᲜᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕ.
ᲐᲒᲠᲔᲓᲕᲔ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲛᲐᲘᲚᲝᲕᲘᲡ
ᲮᲘᲖᲘᲚᲐᲚᲐ
ᲙᲝᲚᲝᲤᲘᲗ Ტ ᲮᲛᲔᲚᲘ ᲡᲝᲙᲝ. 1500

ᲒᲐᲛᲝᲛᲧᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ
Ն. ᲨᲘᲣᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ
ᲞᲘᲔᲡᲐ „ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ“, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

ᲒᲐᲛᲝᲛᲧᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ
Ի. ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲞᲘᲔᲡᲐ
„ᲒᲐᲛᲪᲔᲛᲘ“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

ᲙᲑᲘᲚᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲛᲐ
Ա. Պ. ᲒᲠᲝᲓᲡᲙᲘᲡᲐᲛ
ᲒᲐᲜᲐᲐᲮᲚᲐ ავადმყოფების მიღება: წამლობა, პლომბებისა და ხელოვნური კბილების გაკეთება. სოლოლაკი, პასკევიჩის ქუჩა სახ. № 1, საგუბერნიო სამმართველოს გვერდით. 1441

Ա. ᲚᲘᲕᲘᲢ. ანიზადებს სიმწიფის მოწმობისათვის, სამხედრო სასწავლებელში, 1 ხარისხის ვოლნოპრედელიანიუზრის გამოცდისათვის და საერო სასწავლებლების ყველა კლასებისათვის. შეთანხმების მიხედვით ᲨᲔᲠᲝᲑᲐᲨᲘ ᲕᲐᲫᲚᲔᲕᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲮᲔᲑᲘ. ნახვა შეიძლება: დილით 12—1 საათამდე და საღამოთი 5—6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახ. № 142 (პიროგოვის ქუჩის კუთხე). 1540

ᲕᲘᲡᲘᲡᲠᲣᲚᲝᲑᲗ:
ᲗᲐᲠᲒᲛᲜᲐᲡ სიტყვა-კაზმულისა და სხვა დარგის ნაწარმოებისას და აგრეთვე ყოველგვარ საბუთის ქაღალდებისას.
ᲙᲝᲠᲔᲥᲢᲣᲠᲐᲡ ქართულად გამოსაცემ წიგნებისას.
ᲨᲔᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐᲡ დასაბეჭდად განზრახულ ხელნაწერებისას.
ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐᲡ წიგნებისას ავტორთა ხარჯით.
პირობებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე პირადად ამ მისამართით: ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ, მუხრანის ქუჩა, „ᲨᲠᲝᲛᲐᲡ“ სტამბის გვერდით, სახლი № 12. ნაშუადღევის 2 საათიდან 7 საათამდე. ხოლო დილის 9—1 საათამდე 7 საათამდე. ვაკე, ქართულ გიმნაზიის პირდაპირ, სახლი გაკონიასი. ტელეფ. 9-25,
ᲑᲐᲑᲘᲚᲘᲜᲐ ᲓᲐ Ն. (ᲜᲐᲠ-ᲙᲐᲜᲘ) ᲙᲣᲠᲓᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ.